

ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №44, ოქტომბერი, 2018 წელი



ქ. გაგრა, რესტორანი „გაგრიფში“

აფხაზური ენის დაცვა ჩვენი მომავალი ერთიანობის სიმბოლოცაა

აფხაზური ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის გამოცხადი

მაია შონია




27 ოქტომბერი აფხაზური ენის დღეა. აფხაზური ენა, ქართულთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე არის სახელმწიფო ენა. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება მის დაცვასა და განვითარებაზე მუდმივად ზრუნავს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო ამ დღეს ტრადიციულად აფხაზური ენის კვირეულით ეხმებიან. კვირეული წლეულს 22 ოქტომბერს დაიწყო და 27 ოქტომბრამდე გასტანა.

აფხაზური ენის დღე კვირეულის ფარგლებში აფხაზეთის ყველა საჯარო სკოლაში აღინიშნა. შემაჯამებელი საღამო კი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო. მანამდე თბილისში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას ძეგლი გვირგვინებით შეამკეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ და აფხაზეთის ა/რ მთავრობის წევრებმა.

გაგრძელება მე-2 გვ.



მანანა ქვაჩახია:
განათლება – განძი,
როგორცაც
პირველი ნაბიჯია
გვ. 3-4



„სიჩუმის რეორგანიზაცია –
აფხაზეთი“
გვ. 5



ბარონი დე ბაი
„აფხაზეთში. ერთი
მივლინების მოგონებანი“
გვ. 6, 8



აფხაზეთის პირველი
პარტიული საშუალებები
ფაქტობრივ სტუმრობა
გვ. 7



ნუნუ ჯანალიძე

მკერდზე
მიკრული
„ზეერთი“

გვ. 9



მურმან ხურსილაშვილი

დევიდის
ჩანაწერები

გვ. 10

აფხაზური ენის დაცვა ჩვენი მომავალი ერთიანობის სიმბოლოცაა

აფხაზური ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის გამოცხადება

დასაწყისი 1 გვ.

აფხაზური ენის დღესთან დაკავშირებით ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა: „ქართულთან ერთად აფხაზური ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენაა, რომელსაც იცავს საქართველოს კონსტიტუცია. ამას ადასტურებს აფხაზური ენისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის გზაზე, ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები. სწორედ საქართველოში გამოიციმოდა და გამოიცემა წიგნები აფხაზურ ენაზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რამდენიმე სკოლაში ისწავლება აფხაზური ენა. აფხაზურ ფოლკლორულ მემკვიდრეობას უდიდესი პატივით ვექცევით. აღსანიშნავია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ხშირად იკითხება აფხაზურ ენაზე, რასაც ჩვენი სამომავლო ერთიანობის სიმბოლოდ მივიჩნევთ“.

საღამოზე აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების მნიშვნელობაზე, ამ თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებსა და სპეციალურ პროგრამებზე ისაუბრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ. მან აღნიშნა, რომ „სამინისტრო მუშაობს როგორც აფხაზური ენის პედაგოგების, ისე ამ ენის შესწავლის ნებისმიერი მსურველისთვის განკუთვნილ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე. აფხაზური ენა ისწავლე-

ბა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ საჯარო სკოლებში“. ხოლო სწავლების პროცესი რომ წარმატებულია, ამას მოწმობდა ღონისძიებაზე მოწვეული მოსწავლეების შთამბეჭდავი გამოსვლა. მათ მუშნი ლასურისა მიერ აფხაზურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნიდან“ ნაწყვეტები და აფხაზური ლექსები წაიკითხეს. აფხაზური ენის სწავლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორებმა და პედაგოგებმა.

აფხაზური ბიბლიოგრაფიის დაცვის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა ამ რთულ ვითარებაშიც ცდილობს აფხაზეთის ტერიტორიაზე გამომავალი გამოცემების მოპოვებას.

ამიტომაც, აფხაზური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამართვა შემთხვევითი არ ყოფილა. უკვე მესამე წელია აფხაზური ენის დღე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ხორციელდება. აფხაზურ ენაზე შექმნილი გამოცემების ყველაზე სრულყოფილი კოლექციაც ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში ინახება. ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის ფოიეში მუდმივმოქმედი





აფხაზური კუთხეა მოწყობილი, სადაც გამოფენილია აფხაზეთის შესახებ ლიტერატურა და პრესა, რომლის დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ეროვნული ბიბლიოთეკა გამოსცემს აფხაზურენოვან (აფხაზური ენის ლექსიკონი) და აფხაზეთის შესახებ ახალ გამოცემებსაც.

აფხაზური ენის დაცვის მნიშვნელობაზე ასევე ისაუბრეს პროფესორმა და აფხაზოლოგმა თიმიურაზ გვანცელაძემ, მწერალმა და ჟურნალისტმა შორენა ლებანიძემ, პოეტმა მანონ ბულისკერიამ. ჟურნალ „იალქანის“ რედაქტორმა ნანა ჭანტურიამ ამ ჟურნალის საგანგებო, აფხაზურენოვანი გამოცემა „ცა აფხაზური“ წარადგინა. ჟურნალისტმა ირმა ოსიამ ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სპეციალური პროგრამის ფარგლებში შექმნი-

ლი აფხაზური ენის თვითმასწავლებელი – ანიმაციური ელექტრონული სასაუბრო პროგრამის „ვისწავლოთ აფხაზური ენა – ზეპირმეტყველება“ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ხელუხლებელ ფონდში დაცული უნიკალური აფხაზურენოვანი წიგნები („ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანი, 1936 და 1988 წლებში გამოცემული აფხაზეთის კონსტიტუციები, აფხაზური ენის ლექსიკონები, აფხაზური მხატვრული ლიტერატურა და ა. შ.), ასევე გამოფენილი იყო აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ შესრულებული აფხაზური კალიგრაფიის ნიმუშები.

საღამო ანსამბლ „შაენაბადას“ მიერ შესრულებული აფხაზური ხალხური სიმღერებით დასრულდა.



აფხაზური ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის გამოცხადება

ეკატერინე გაბილია



აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვ. არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გაიმართა შეხვედრა, რომელიც გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს პირველი ეროვნული გმირის, წმინდა გიორგის ოქროს და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენების კავალერის, აფხაზეთის ა/რ თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, გენერალ-მაიორ ჟიული შარტაგას სახელობის მწვერვალზე პირველ ასვლას მიეძღვნა.

შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

მანამდე 2018 წლის 27 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობისათვის ფედერაციის შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც აღმოსავლეთ კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალისათვის ჟიული შარტაგას სახელის მინიჭებას ითვალისწინებდა.

შეხვედრას უძღვებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალისათვის ჟიული შარტაგას სახელის მინიჭება მის უკუდაყოფას განამტკიცებს და ამ ფაქტს მომავალი თაობებისთვის მაგალითის ძალა ექნება.

ჟიული შარტაგა კიდევ ერთხელ გაიხსენეს და მის ღვაწლზე ისაუბრეს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა გვაზაგამ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, საქართველოს მთავრობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა შოთა მირიანაშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ზურაბ გასიტაშვილმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სა-



ხელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის უფროსმა მალხაზ გოლეტიანმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა შალვა ნაჭყებია და სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ პროფესორმა ვახტანგ ანთიამ.

ეროვნული ალპინიზმის 21 სექტემბერს დაიწყო და მასში მონაწილეობდნენ: საქართველოს მთაწველელთა ეროვნული ფედერაცია; საქართვე-

ლოს თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა – პარტნიორობის მომზადებისა და განათლების ცენტრი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

შეხვედრა სოხუმის დაცემის 25 წლისთავთან დაკავშირებით მიმდინარე კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

ძვირფასო თანამემამულეო!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე <http://scara.gov.ge/ka/2010-07-05-08-39-35.html> გამოქვეყნებულია აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის, გენოციდის მსხვერპლთა (მშვიდობიან მოქალაქეთა) სია რაიონებისა და სოფლების მიხედვით. წინასწარი მონაცემებით სია შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს და მასში ვერ მოხვდა ყველა დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგული; ზოგიერთი პიროვნება პირიქით, სიაში შეცდომით არის შეყვანილი. სიის დაზუსტება-დაკონკრეტების მიზნით, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას №16, მე-6 სართული.
საკონტაქტო ტელეფონი:

237 64 02; 595 30 75 55;
591 51 36 59; 599 33 75 73

ელ ფოსტა: abkhazeti2017@gmail.com; scofara@gmail.com
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისა და გულისხმიერებისათვის.

მანანა ქვაჩახია:

ბანათლება – ბანძი, როგორცაა პირველი ნაბიჯი!

გაია შონია

27 სექტემბერს აფხაზეთის დედაქალაქიდან 25 წელი გასრულდა. უკვე მეოთხედი საუკუნე გავაპრობებ აფხაზეთს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებსაც მეოთხედი საუკუნის გადასახედიდან ვაფასებ. ჩვენს მიერ აფხაზეთისკენ შესარიგებლად გაწვდილ ხელს ისევ რუსი ოკუპანტი ელოდება ნინ. ამიტომაც ისევ და ისევ დღის წესრიგშია საერთაშორისო საზოგადოების თანადგომა, შესაბამისად, მათი სრულად ინფორმირება, სინამდვილეში რა ხდება აფხაზეთის თავს. სწორედ ინფორმირების მიზნით სექტემბრის დღეებში აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების დელეგაცია სტრასბურგში გაემგზავრა. გარდა ამისა, აფხაზეთის დღეები გაიმართა ნიდერლანდების სამეფოში. აფხაზეთის ცალკე კუთხე დაეთმო ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე. ამ დელეგაციების შემადგენლობაში იყო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი **მანანა ქვაჩახია**, რომელსაც ვთხოვეთ უფრო დანერგვით მოეთხორო ამ ვიზიტებზე. შემდეგ კი საუბარი სამინისტროში განხორციელებულ პრეზენტებს, მიმდინარე სიახლეებსა და სამომავლო გეგმებსაც გადასწავლა.

– **სტრასბურგში, ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის შენობაში, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ამჟამინდელი მძიმე მდგომარეობის ამსახველი გამოფენა მოეწყო. იყო შეხვედრები ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან, იქ მცხოვრები ქართველებთან. როგორ შეაფასებთ ვიზიტის შედეგებს?**

ვერც სარეაბილიტაციო სამუშაოებს დარქმევ. ეს არის აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული კვალის ნაშლის მიზნით ჩადენილი მიზანმიმართული ვანდალური ქმედება. არადა, სწორედ ეს ძეგლებია იმის დასტური, რომ ჩვენ – ქართველები ამ ტერიტორიის ძირძველი მოსახლენი ვართ. ეს ცხადია, ძალიან კარგად იცინი იმათაც, ვინც ამას სჩადის. ადამიანების გა-



– ეს გამოფენა პირველად გაზაფხულზე გვექონდა ეროვნულ მუზეუმში. სწორედ ამ ექსპოზიციის ნაწილი წარმოვადგინეთ სტრასბურგში. ასევე შეხვედრები გაიმართა ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის ოფისში. გემასპინძლობდა ელჩი, ბატონი ირაკლი გიგიაშვილი. ჩვენს წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები, საკვირაო სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები, სტრასბურგში მცხოვრები ქართველები და არა მხოლოდ ქართველები. ექსპოზიციის მცირე ნაწილი წარმომადგენლობის ოფისში გამოფენეთ. გამოფენა ასახავდა კულტურული მემკვიდრეობის ამჟამინდელ მდგომარეობას აფხაზეთში. ჩვენს დელეგაციაში იმყოფებოდნენ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ზურაბ ჯგუშური (გამოფენა და ვიზიტი მისი ორგანიზებით იყო) და ჯემალ გამახარია.

მთავარი თემა, რის გამოც სტრასბურგში ჩავედით, იყო ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რასაკვირველია, საუბარია ეთნიკური ქართველების უფლებების დარღვევაზე. დეპუტატმა ჯემალ გამახარია იმსახურა პოლიტიკური რაკურსით გააკეთა მოხსენება. მე მქონდა მოხსენება აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების უფლების წარმეგზავნა. დიახ, აფხაზეთში არა თუ ზღუდავენ ქართულ ენაზე განათლების მიღებას, არამედ საერთოდ კრძალავენ. თავად ელჩი სრულად ფლობდა შესაბამის ინფორმაციას. დამსწრე საზოგადოებისათვის კი გასაკვირი აღმოჩნდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანს ეკრძალება, იქ და იმ ენაზე მიიღოს განათლება, სადაც და რომელ ენაზეც მას სურს. მით უმეტეს, როცა მოსახლეობის 95 პროცენტი ქართველია და ქართული სკოლა არ არსებობს. ასეთი წარმოდგენილი უსამართლობის მოხმენამ ბევრზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მხარს დაგვიჭერენ ყველა საკითხში და ამ პრობლემებს გაახშირებენ ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა ექნებათ.

– **რა გამოხმაურება მოყვა გამოფენას?**

– კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობაზე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზურაბ ჯგუშურიამ ისაუბრა. მან მწვავედ აღნიშნა ის გარემოებანი, თუ როგორ ანადგურებენ მავანნი აფხაზეთში არსებული უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, როგორ ძლიან ქართულ წარწერებს, როგორ არაბუნებრივად ღებავენ ეკლესია-მონასტრებს და რუსულ ელფერს სძენენ მათ... ამას ვერც სარემონტო და

მოდენის შემდეგ ებრძვიან ძეგლებს, კულტურულ მემკვიდრეობას, რომ შემდეგ იოლად გადანერგო მათთვის მისაღები ისტორია.

ჩვენი ვიზიტის მიზანი საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ამ ინფორმაციის კიდევ ერთხელ მიწოდება იყო, რათა მათ რეაგირება მოახდინონ და შეაჩერონ აფხაზეთში მიმდინარე ვანდალური ქმედებანი. ჩვენ, საუბედუროდ, აფხაზეთში სიტუაციას ვერ ვმართავთ, შესაბამისად, ოკუპანტებს წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ. დაგვრჩა სხოლოდ ერთი იარაღი, მსოფლიო საზოგადოების ინფორმირება და მათი ძალისხმევა ამ უსამართლობის წინააღმდეგ. და, რაც უფრო მეტად და ხშირად შევძლებთ ამ ტრიბუნების გამოყენებას, რაც უფრო მეტად შევანუხებთ ჩვენი პრობლემებით მსოფლიოს, მით უფრო მეტი შესაბამისი მექანიზმი ამოქმედდება და უფრო რეალურ შედეგს მივიღებთ. სამწუხაროა, რომ ოკუპანტები ბოლო პერიოდში უფრო მეტად ჩქაროებენ და უფრო აგრესიულებიც ხდებიან, თითქოს უნდათ, ჩანაფიქრის აღსრულება ბოლომდე მოახსრონ.

– **ამ პოლიტიკის ერთგვარი გაგრძელება იყო ალბათ ნიდერლანდების გაერთიანებულ სამეფოში აფხაზეთის დღეების მოწყობა.**

– ჰოლანდიაში აფხაზეთის კულტურის დღეები სახელმწიფო დონით „დავიბრუნეთ ერთმანეთი“ გაიმართა. აქ თითქოს ჩვენი ტკივილი და პრობლემა განსხვავებული ფორმით წარმოჩნდა. რამდენიმე დღიანი კულტურული პროექტის ლაიტმოტივი იყო ის, რომ ჩვენი კულტურით, ჰუმანური აქციებით, ერთმანეთთან მისასვლელი გზებისა და ხიდეების ძიებით შეიძლება, დავიბრუნოთ ერთმანეთი, გავისხენოთ ბედნიერი წარსული, ნღები რომელიც გვაკავშირებდა აფხაზეთთან.

აფხაზეთის დღეები ჰააგაში და ამსტერდამში მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ აფხაზეთის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები და პირველი, რაც მათ იქ მთელი სულითა და გულით შეასრულეს, იყო აფხაზური სიმღერა. როცა ეს სიმღერა მოვისმინე, გავიფიქრე, ნეტავ, თუ შეუძლია კიდევ ვინმეს მსოფლიოში, წავიდეს ასე შორს, უცხო ქვეყანაში და თავისი გულისნადები ასე წარმოაჩინოს-მეთქი. შეხვედრებს ესწრებოდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა და დეპუტატები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი მე. შედეგა შეხვედრები საქართველოს საელჩოში ნიდერლანდების სამეფოში. გაიმართა

ჰოლანდიაში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა. ჩვენი სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა გამართეს კონცერტი. ამ ყველაფერს თან ახლდა ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველების ემოციური გამოსვლები. შეხვედრას მასპინძლობდა საქართველოს ელჩი ნიდერლანდების სამეფოში კონსტანტინე სურგულაძე. ვიზიტი მონაწილეობდა მწერალი გურამ ოდიშარია, რომელმაც თავისი სამშვიდობო ხელვა წარმოადგინა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ის, რაც ვერ შეძლო პოლიტიკამ, უნდა შეძლოს კულტურამ, ხელოვნებამ, განათლებამ, ადამიანებს შორის ურთიერთობამ და სიყვარულმა, ურთიერთპატივისცემამ. აუცილებელია, იგივე ნაბიჯები გადადგას მეორე მხარეც, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შედეგის მიღწევა. მუდმივად იმაზე ლაპარაკი, ვინ რა დაიწყო, ვინ იყო დამნაშავე, ერთმანეთს უფრო მეტად დაგვაშორებს. როდესაც ამდენი ტკივილი, მოგონება და ტრაგედია არსებობს, ძალიან რთულია ამის მიღწევა, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, ეს ყველაფერი უნდა დავვიწყოთ და მხოლოდ მშვიდობიან მომავალზე, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი ურთიერთობის აგებაზე ვიფიქროთ.

– **კიდევ ერთი ტრიბუნა, რომელიც იმ დღეებში აფხაზეთის საკითხის წარმოსაჩენად გამოვიყენეთ, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა იყო, სადაც საქართველო წლეულს საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგა. აფხაზეთის შესახებ გამოცემებს ცალკე კუთხე ჰქონდა დამოძილი, ამ თემაზე დისკუსიებიც გაიმართა. როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმატებულად მოხდა ამ უდიდეს ფორუმზე აფხაზეთის საკითხის წარდგენა და დინტერესდა თუ არა აუდიტორია მისით?**

– ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა რომ მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. წლეულს, ამ ბაზრობის 70 წლის იუბილეზე, საპატიო სტუმრის სტატუსი საქართველოს ერგო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყო იყო. ეს წარმომადგენდა ქართული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების და ზოგადად, ქართული ნიჭისა და გენის, ქვეყანაში არსებული ვითარების ამ მასშტაბის აუდიტორიის წინაშე წარმოჩენის არაგვეულებრივ საშუალებას. მთელი ქალაქი შთამბეჭდავად იყო აჭრელებული ქართული წარწერებით. საითაც გაიხედავდი, ყველგან ქართული ანბანის ფრაგმენტები მოჩანდა, ყველა გალერეაში ქართულ კვალს ნაწყვეტობდი. ამ კონტექსტში აფხაზეთის თემა სათანადოდ იყო წარმოდგენილი. ჩვენ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე 20-მდე მინაარსით, პოლიგრაფიული ხარისხითა და მნიშვნელობით გამორჩეული გამოცემით წარვდგით. მათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტენდზე ერთი თარი დაეთმო. ასევე შესაძლებლობა გვექონდა, თითოეული ნიგნი



თაროდან ხალხმრავალ სტენდზე გადმოგვეცვლებინა, რათა დამთვლიერებლების ყურადღების ცენტრში მოგვექცია.

საგანგებოდ ამ ბაზრობისთვის გამოვცით აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტოალბომი, რომელიც დამთვლიერებელთა დიდ ინტერესს იწვევდა. შესაბამისად, ჩვენ მათ ვჩუქნიდით კიდევ, რითაც მცირე წვლილი მაინც შევიტანეთ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში. გარდა ამისა, აფხაზეთიდან დევნილი მწერლები აწყობდნენ შეხვედრებს მკითხველებთან. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ჰქონდა გურამ ოდიშარიას თემაზე „იმის გავლენა ლიტერატურაზე“. ამ დისკუსიაში გურამ ოდიშარიასა და დათო ტურაშვილთან ერთად ნიგნის ბაზრობაზე ჩამოსული სამი აფხაზი მწერალიც მონაწილეობდა. როცა ამ მასშტაბის საერთა-



შორისო ტრიბუნაზე გამოდისარ და დიალოგზე თანხმდები, გარკვეულწილად ეს იმას ნიშნავს, რომ აგრესიის მომხრე არ ხარ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის შედეგა კონსტრუქციული საუბარი ლიტერატურაზე, ემოციებსა და გრძნობებზე, ზოგადად, ურთიერთობებზე და ამ საუბრებში მონაწილეობდა მწერალი გელა ჩქევაძე.

სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ლიტერატურულ პრემია „საბაზე“ აფხაზეთიდან ოთხი დევნილი მწერალი (თეა თოფურია, პაატა შამუგია, ია ქვაჩახია და ლანა კალანდია) იყო ნომინირებული. ასე რომ ამ დიდ მოვლენაში ჩვენც ღირსეულად ვმონაწილეობდით. ის ბოლოდროინდელ მოვლენათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული იყო და მასზე საუბარი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, რადგან ფრანკფურტის უნგის ბაზრობაზე მიღებული ინფორმაციის გადამუშავება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. აქვე უნდა ითქვას, რომ საგანგებოდ წარვადგინეთ აფხაზური ენის შემსწავლელი დისკო. წარმოვაჩინეთ ამ ენის მნიშვნელობა და ვთქვით, რომ საქართველო და ქართველები აფხაზური ენის ყველაზე დიდი გულშემატკივრები და დამცველები ვართ... ჩვენ ამის თამამად გაცხადება შეგვიძლია, რადგან ბევრი რამ გავაკეთეთ საიმისოდ, რომ აფხაზური ენისთვის არ დაგვეკარგა თავისი მნიშვნელობა და ისტორიული ღირებულება. თბილისსა და საქართველოს რეგიონების სკოლებში ვასწავლით აფხაზურ ენას, აფხაზურ ზეპირმეტყველებას. ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე კი კიდევ ერთხელ განვაცხადეთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ – ქართველებმა უნდა მივხედოთ და ვუპატირონოთ ამ ენას და ამისი თქმა ამ საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი იყო.

– **ბარემ უპირანი იქნება, რომ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვის პრიორიტეტულ სხვა საკითხებზეც აქვე გაგვგრძელოთ საუბარი. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრად მას მერე მოხვდით, რაც ამავე სამინისტროში თითქმის ყველა საფეხური გაიარეთ – დეპარტამენტის უფროსობიდან მინისტრის პირველ მოადგილეობამდე. გადატანითი მნიშვნელობით, აქაურობის ყოველ კუთხე-კუთხულს იცნობთ. ხომ არ გვეტყოდით ორიოდ სიტყვით პრიორიტეტებზე, რომელსაც სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს?**

– ამ სამინისტროში თითქმის 14 წელიწადია ვარ და ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად

გაგრძელება მე-4 გვ.

მანანა ქვაჩახია:

განათლება – განძი, როგორცაა პირაპირ ნაგართიანს!

დასაწყისი მე-3 გვ.



აღვიქვამ მას. ვიცნობ მის მიმართულებებსაც, სპეციფიკასაც. ჩემთვის ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი კი ის ადამიანური რესურსია, რომელიც სამინისტროში არსებობს. მათ გარეშე სამინისტროს მუშაობა ვერ იქნებოდა წარმატებული, ვერ წარიმართებოდა ისე, როგორც საჭიროა და გვსურს. ამიტომ, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი მათ. წლების განმავლობაში მე ძირითადად ვკურირებდი განათლების მიმართულებას და ის სტრატეგიული ხაზები, რაც ჩვენითვის იყო პრიორიტეტული, დღესაც შენარჩუნებულია. ამ კურსისთვის არ გადავიხვევია. ჩვენი პრიორიტეტია დევნილი ახალგაზრდები, მოსწავლეები, პედაგოგები, მათთვის სწავლისა და მუშაობის სათანადო პირობების შექმნა, სკოლების ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება. ვცდილობთ, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ასევე გალის ოკუპირებული ტერიტორიების მოსწავლეებს, პედაგოგებს, სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების აღსაზრდელებს.

ენგურს გამოღმა აფხაზეთის სულ 13 საჯარო სკოლაა და მიმანია, რომ თითოეული მათგანი ღირსეულად უძღვება თავის საქმეს. კარგი შედეგები გვაქვს მოსწავლეების წარმატებების მხრივ. ჩვენი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ეს სკოლები განთავსებულები არიან შენობებში, რომლებიც მათი საკუთრება არ არის. თუ გამოჩნდება დონორი, რომელსაც სკოლისთვის დახმარება სურს, საკუთრების სტატუსის არქონის გამო, ვერ ახორციელებს ამას. ეს ძალიან დიდი ხელისშემშლელი ფაქტორია. ბევრი რამ კეთდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით. ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილის მოგვარება წლეულს შეეძლოთ. აქ ხაზგასასმელია აფხაზეთის ა/რ მთავრობის კეთილი ნება, შესაბამისი სამუშაოებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი საგრძნობლად გაეზარდა. მნიშვნელოვანია, რომ გვაქვს წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ბიუჯეტი წლიდან წლამდე იზრდება, რადგან იზრდება წარმატებულ ახალგაზრდათა რიცხვიც. პროგრამა გულისხმობს სწავლის თანადაფინანსებას. სრულ დაფინანსებას ვერ ვახერხებთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თანადაფინანსებაც საკმაოდ დიდი დახმარებაა ახალგაზრდებისა და მათი ოჯახებისათვის.

– **ბუნებრივია, ბევრად რთულია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების მდგომარეობა. როგორ უმკლავდებით მათთან დაკავშირებულ პრობლემებს?**

– იქ ვითარება ძალიან მძიმეა. გალის რაიონის ტერიტორიაზე 30 სკოლა ფუნქციონირებს, სადაც 4000-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს და 900-მდე პედაგოგი ასწავლის. მოსწავლეები ეთნიკურად ქართველები არიან. ჩვენ ისინი დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად ყველა პროექტში, ყველა ღონისძიებასა და პროგრამაში გვყავს ჩაბმული, რომელსაც კი ჩვენი სამინისტრო ახორციელებს. ეს იქნება ბანაკები, დასვენების პროგრამები, საზაფხულო სკოლები,

ოლიმპიადები, ვიქტორინები, კონკურსები, სახელმძღვანელოების პროგრამა და ა. შ. მათ ყოველ წელს უზრუნველვეყოფთ სახელმძღვანელოებით. სხვა საკითხია, მერე როგორ მალულად უწევთ ამ ქართული წიგნებით სწავლა, რაც ჩვენი ტრაგედიაა. მიუხედავად ამისა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეს ბავშვები საოცრად გამართული ქართულით მეტყველებენ, რაც უპირველეს ყოვლისა, მათი პედაგოგების დამსახურებაა, რომელთაც გმირობის ფასად უჯდებათ ეს ყველაფერი. შედეგიც სახეზეა: წლეულს გალის ოკუპირებული ზონიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში 138 სტუდენტი ჩაირიცხა. ეს არ არის პატარა ციფრი. თანაც ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც იქ ქართულ ენაზე სწავლა, პირდაპირი გაგებით, აკრძალულია. იქაურ სკოლებში კვირის განმავლობაში ქართულ ენას ერთი ან ორი საათი აქვს დათმობილი და როგორც უცხო ენა, ისე ისწავლება. ასეთ გარემოში რომ ბავშვი ენის შესწავლას და მერე თბილისში ეროვნული გამოცდების ჩაბარებას ახერხებს, ეს ფანტასტიკის სფეროა. ზოგი ამას ეჭვის თვლით უყურებს, რაც საწყენია და იქ მომუშავე პედაგოგებისა და მშობლების ფასდაუდებელი ძალისხმევის დაკნინებაა.

– **აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი აფხაზეთის საჯარო სკოლებში აფხაზური ენის სწავლების საკითხია. რა მდგომარეობაა ამ მხრივ და კიდევ რა საახლეუბია ჩაფიქრებული?**

– აფხაზეთის საჯარო სკოლებში აფხაზური ენის სწავლება ბოლო წლებში დავენერგეთ. ბავშვები უკვე აფხაზურად საუბრობენ, სპექტაკლებს დგამენ, „გეფხისტყაოსანს“ კითხულობენ, მღერიან აფხაზურ ენაზე და ცდილობენ, დაგვა-



ნახონ, რომ ქართველები აფხაზებს მტრად არ მოიაზრებენ. დღევანდელი გაუცხოების მეზეზი სხვა ვინმეში და სხვა რამეშია. ვთარგმნით და გამოვცემთ წიგნებს აფხაზურ ენაზე, ვამუშავებთ აფხაზური ენის შემსწავლელ პროგრამებს. რამდენიმე წლის წინათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად გაკეთდა აფხაზური ენის შემსწავლელი და მასწავლებელთა მომზადების სპეციალური მოდული, რომელიც ორ ეტაპად განვახორციელეთ და რომელშიც აფხაზეთიდან ჩამოსული რამდენიმე აფხაზი პედაგოგიც მონაწილეობდა. იქ ხშირად აფხაზურ ენას არასპეციალისტები ასწავლიან, არა საგნის და პედაგოგიკის მცოდნეები, არამედ უბრალოდ, ენის მატარებლები. ასე ენას ვერ დაიცავ და ვერ გადაარჩენ. ამდენად, ეს ტრენინგები მნიშვნელოვანი იყო როგორც ჩვენი, ისე ოკუპირებული ტერიტორიიდან პაღმოსული აფხაზი პედაგოგებისთვისაც. მათ, როგორც აღვნიშნეს, ბევრი რამ გაიგეს. შემდეგ ეტაპზეც გადავედით და გადავწყვიტეთ, შევექმნათ დახმარე წიგნი, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, ვისაც ამის სურვილი გაუჩნდება, შეძლოს აფხაზური ენის შესწავლა. ავტორთა ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს ამ გამოცემაზე, რომელსაც წლის ბოლოს შეეთავაზებთ ყველა დაინტერესებულ პირს, ქართველსაც და აფხაზსაც, რომლებმაც, სამწუხაროდ, აფხაზური ცუდად ან საერთოდ არ იციან. ვფიქრობთ, ეს წიგნი აჭარბში მცხოვრებ აფხაზებსაც გადავცეთ საჩუქრად. ეს წიგნი მათაც აუცილებლად ჩირდებათ.

– **სამინისტრომ ბოლო წლებში ძალიან საინტერესო საქმე წამოიწყო. ეს არის თბილისის საჯარო სკოლებში აფხაზეთის ისტორიის სწავლება. რას იტყობით მიღწეულ შედეგებზე, ამ პროექტის**

პერსპექტივაზე?

– ამ საკითხზე მუშაობა სპონტანურად არ დაგვიწყია. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ აფხაზეთის ისტორია საკმარისად არ არის ასახული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში. ამიტომ ორი წლის წინათ განვიზრახეთ და აფხაზეთის ა/რ მთავრობამაც და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომაც დაგვიჭირა მხარი, რომ აფხაზეთის ისტორიის სასწავლო კურსი ლექციების სახით ისწავლებოდა და არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელი საქართველოს საჯარო სკოლებში. ეს არის აფხაზეთის ისტორიის სამთვინი მოკლე სალექციო კურსი, რომელიც უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. ისტორიკოსები, უნივერსიტეტის პროფესორები შესაბამისი განრიგისა და ცხრილის მიხედვით მიდიან სკოლებში და 30-40 დაინტერესებული მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს უტარებენ ლექციებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ორი ეტაპი უკვე გავიარეთ. განსად ამ პროგრამის მესამე ეტაპი დაიწყება. წლეულს ამ პროექტის ფარგლებში აფხაზეთის ისტორიის შესახებ კონფერენციაც გაიმართა. ბავშვებმა წარმოადგინეს ძალიან საინტერესო და ორიგინალური პრეზენტაციები. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ისინი იყვნენ არა აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები ან აფხაზეთიდან წამოსული ოჯახების შვილები, არამედ თბილისელი მოსწავლეები. ვფიქრობთ, მათი შეფასებიდან და დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ეს პროექტი უნდა გავაგრძელოთ. ამ პროექტის ფარგლებში წიგნის სახით უკვე მზადდება და წლის ბოლოს გამოვა აფხაზეთის ისტორიის შესახებ პოპულარული ენით დაწერი-

ლი ლექციების კურსი, რომელიც ნებისმიერ ადამიანს დაინტერესებს. ამით უფრო მეტად შევძლებთ აფხაზეთის თემის გააქტიურებას ახალგაზრდებში.

– **სულ რაღაც ორი წელია, რაც აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან ერთად უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის დაწესდა არზაყან ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები, რომლებიც აფხაზეთის პრობლემატიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ცხადია, არსებული შედეგების მიხედვით უკვე შეგიძლიათ გარკვეული დასკვნების გაკეთება. როგორია ეს დასკვნა, რამდენად აინტერესებს მომავალ თაობას აფხაზეთის პრობლემატიკა და ამ მხრივ კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?**

– პოლიტოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის დავანესეთ არზაყან ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები. მეორე წელია, რაც გაიცემა ისინი. ამას დავმატა ილია ნეკუას სახელობის სტიპენდია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ვფიქრობთ, რომ ეს სტუდენტების სწავლის მოტივაციას აამაღლებს, ასევე ხელს შეუწყობს ჩვენი დიდი წინაპრების სახელების უკვდავყოფას. პირველი სტიპენდიანტი, სხვათა შორის, თელავის უნივერსიტეტის სტუდენტია.

– **სამინისტრო სხვა მიმართულებების – კულტურა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ახლგაზრდული საქმეები, სპორტი და ა.შ. – საქმიანობასაც წარმართავს. ის ასევე დიდ საქმეს შეეჭიდა – მიმდინარეობს სამინისტროს შენობაშივე არსებული ე.წ. სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია. მისი მწყობრში ჩადგომა იქნება უმნიშვნელოვანესი მოვლენა აფხაზეთის შემოქმედებითი**

კოლექტივების ცხოვრებაში, ბოლოს და ბოლოს, დევნილობის 25 წლისთავზე სოხუმის თეატრებსაც ექნება საკუთარი დარბაზი. ის, ალბათ, ახალ სიცოცხლეს შთაბერავს სამინისტროს ცხოვრებასც.

– რა თქმა უნდა, ჩვენი სამინისტრო მხოლოდ განათლების მიმართულებით არ მუშაობს, ის კულტურის სამინისტროცაა და ამ მხრივ ჩვეიც შეგვიძლია მოკრძალებული სიტყვის თქმა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. გვყავს ისეთი წარმატებული კოლექტივები, როგორებიცაა: გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის საგუნდო კაპელა, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, ორი თეატრი – კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი და სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა თეატრი „თეთრი ტალა“. თითოეული მათგანი მნიშველოვანია სიმბოლური დატვირთვითაც. ეს ის კოლექტივებია, რომელთაც თავიანთი სახე შეინარჩუნეს ამდენი წლის განმავლობაში. სოხუმიდან წამოსულებმა ამ კონკურენტუნარიან გარემოში შეძლეს თავის დამკვიდრება, საკუთარი ნიშის პოვნა. მათი არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია და ვცდილობთ, ყველანიარად შევუწყოთ ხელი.

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს სულ ახლახან აკადემიურის ნოდება მიენიჭა. თეატრებმაც ძალიან საინტერესო რეპერტუარი შექმნეს განვლილი წლების განმავლობაში, არაერთი თაობა აღზარდეს. ჩვენს სამინისტროსთან არსებული დარბაზის განახლება, რომელსაც წლების განმავლობაში ველოდით. აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას დიდი ძალისხმევით მოხერხდა მისი

რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხის მოძიება. დარბაზის რეაბილიტაცია წლის ბოლოსთვის დასრულდება. ეს იქნება დარბაზი, რომელსაც გამოიყენებენ როგორც თეატრები, ასევე მუსიკალური კოლექტივები, მოენყობა პრეზენტაციები, საღამოები და სხვა ღონისძიებები. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი შესაძლებლობა და დიდი შეღავათია ჩვენითვის, რადგან ფართის მოძიება თანხებთან არის დაკავშირებული და ეს დარბაზი საკმაოდ დიდ თანხასაც დაგვიწოვავს.

– **რა არის ის უმოავრესი სათქმელი, რაც წლების განმავლობაში დაგიგროვდათ და გინდათ, სხვებსაც გაუზიაროთ?**

– ცხოვრებამ და იმ ეტაპებმა, რომელიც გამოვიარე, დამარწმუნა, რომ არსებობს მუდმივი ღირებულებები, რომელსაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიუხვდე. ჩემთვის ეს არის განათლება და ამას არ ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ განათლების მინისტრი ვარ. ერთ მშვენიერ დღეს როცა აფხაზეთში ტრაგედია დატრიალდა – დავყარეთ ყველაფერი და მამა-პაპათა მონაპოვარი მატერიალური ფასეულობები დავტოვეთ... ერთადერთი რაც შეგერჩა და ვერავინ წაგვართვა, იყო ცოდნა, განათლება, მენტალობა, ხასიათი, ცხოვრებისეული ფილოსოფია, რაც შეგვიძინა ოჯახმა, გამოცდილებამ, განვლილმა წლებმა. ეს არის ის, რაც ნებისმიერ გარემოებაში მოგაძებნინებს შენს ადგილს და ისევ შეგაძლენინებს ყველაფრის თავიდან დაწყებას. მთავარი ღირებულება ასევე არის გულწრფელი ურთიერთობები, ერთგულება, სიყვარული, როდესაც შეგიძლია ადამიანს ენდო და თვალდახუჭული გაჰყვე, რადგან იცი, რომ ის არ გილაღატებს და ყოველგვარ გასაჭირში გვერდით დაგიდგება. ეს არის ის ორი რამ, რაც ამ გადასახედიდან და პოზიციიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიმანია.

„სიჩუმის რეზოლუცია – აფხაზეთი“

მაია შონია

27 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოკუპაციის დარბაზმა ფრანგი ფოტოხელოვანის, არქიტექტურის ფოტოგრაფად ნოდებუი ორელიენ ვილელის გამოფენას „სიჩუმის რეზოლუცია – აფხაზეთი“ უმასპინძლა. ექსპოზიცია 12 ნამუშევრისაგან შედგებოდა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს (სახლები, სანატორიუმები, ძველი ციხეები და სხვ.) ასახავდა. გამოფენა ფონდების Evro-Art და Art-Echo-ს (ხელმძღვანელი დალი უბილავა-დე გრაფი), ორგანიზებითა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს, ასევე სხვა ქართველი და უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერით მოეწყო.

ფოტოები, რომლებზეც ადამიანები არ ჩანან და მხოლოდ განადგურების პირას მყოფი არქიტექტურის ძეგლებია აღბეჭდილი, საოცარი სიმძაფრით გადმოსცემს იმ დიდ ტკივილს, რომელიც მიტოვებული და გავერანებული ადგილების დათვალიერებისას გეუფლება. ობიექტივმა მხოლოდ ორელიენ ვილელისთვის დამახასიათებელი გამორჩეული რაკურსით დააფიქსირა კადრები, რომლებიც რამდენადაც ლამაზია, იმდენად სევდიანი და ნოსტალგიურია. დამთვალიერებელს ამ 12 ფოტოს მიღმა არაერთი კადრი წარმოუდგება თვალწინ. ამ თითქოს უკაცრიელ ადგილებში უამრავი ადამიანი ირევა და გამოფენა, რომელსაც ავტორმა „სიჩუმის რეზოლუცია“ დაარქვა, ძალიან ბევრ ამბავს ჰყვება.

ფრანგმა ფოტოხელოვანმა ორელიენ ვილელმა 2008 წლიდან დაიწყო მოგზაურობა და სწორედ ამ დროს გაეცნო ფოტოგრაფიის ხელოვნებას. 30-მდე ქვეყანა მოიარა და ფოტოებზე ასახა სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურის ნიმუშები, რომლითაც ცივილიზაციის ცვლილების მისეულ ხედვას გვაცნობს. 2012 წელს ფოტოხელოვანი ახალგაზრდა ტალანტების SFR-ის კონკურსის ჟიურის მონაწილას იმსახურებს. ამ დროიდან მოყოლებული ის, როგორც პროფესიონალი ფოტოგრაფი, ამზადებს კვლევას თემაზე „ადგილის სული“. ორელიენი საქართველოში პირველად 2013 წელს ჩამოვიდა და წყალტუბოს ესტუმრა, სადაც გაიცნო იქ მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ლერი ყურაშვილი. სწორედ მისგან შეიტყო აფხაზეთის შესახებ და ფოტოების საქართველოს ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაღების იდეაც მაშინ გაჩნდა. აფხაზეთში ენგურის ხიდიდან გადავიდა და იქ ერთი თვე დაყო. სწორედ ამ მოგზაურობის შედეგია გამოფენა „სიჩუმის რეზოლუცია – აფხაზეთი“.

თავად ფოტოხელოვანმა ორელიენ ვილელმა თქვა: – 2013 წლიდან დღემდე ათჯერ ჩამოვედი საქართველოში. ბევრი რეგიონი მოვიარე. წყალტუბოში გავიცანი აფხაზეთიდან დევნილი ლერი ყურაშვილი და მასთან ურთიერთობისას გამიჩნდა ფოტოების აფხაზეთში გადაღების იდეა. გარდა იმისა, რომ აფხაზეთში ფოტოები გადავიღე, ემოციებითა და შთაბეჭდილებებითაც დავიტვირთე. მინდოდა, ფოტოებს დოკუმენტური ხასიათი ჰქონოდა და ამავდროულად გამომეხატა ესთეტიკაც და სილამაზეც, რაც შეიძლებოდა სასიამოვნო სანახაო ყოფილიყო. მაღლობა ქალბატონ დალის, რომელთან თანამშრომლობითაც მოეწყო ეს გამოფენა.

გამოფენა სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა თეატრ „თეთრი ტალას“ (რეჟისორი გიორგი რატიანი) წარმოდგენითა და გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის (სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე) მიერ შესრულებული ნომრით დაიწყო.

გამოფენა ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ გახსნა: – 27 სექტემბერი ყველაზე სევდიანი დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში. ეს დღე გვიმდაფრებს იმ ტკივილს, რომელიც ყველა ჩვენგანს აწუხებს. ეს გარემოც, დარბაზიც, ხელოვნებაც, რომელიც ზუსტად აჩვენებს დღევანდლობას, ამას კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. მაგრამ ყველა დიდ ტკივილს მოსდევს სიხარული და მე, როგორც რიგითი ადამიანი, ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ეს ყველაფერი შეიცვლება დადებითი ემოციებით. დიდი მაღლობა ამ პროექტის ორგანიზატორს ქალბატონ დალის ამ გამოფენისთვის. ვისურვებდი, მომავალ წელს არა ოკუპაციაზე,

არამედ ერთიანობასა და გამარჯვებაზე გველაპარაკოს.

დალი უბილავა-დე გრაფი, ჰოლანდიურ ფონდ Art Echo-ს ხელმძღვანელი: – გამოფენა „სიჩუმის რეზოლუცია – აფხაზეთი“ ჰოლანდიურ ფონდ Art-Echo-სა და ქართულ ფონდ Evro-Art-ის ორგანიზებით ჩატარდა. მაღლობას ვუხდი პარტნიორებს: აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის მთავრობას, თბილისის მერიას, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, საფრანგეთის საელჩოს საქართველოში. როგორც კი აფხაზეთი ვახსენე, ვისაც რთი შეეძლო, იმ კონტრიბუციით შემოვიდა პროექტში. საერთო ტკივილმა გაგვაერთიანა. განსაკუთრებული მაღლობა უმაღლესი კლასის ფრანგ ფოტოხელოვანს ორელიენ ვილელს. მაღლობას ვუხდი აფხაზეტს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ორელიენს, რომ მთელი თვე, დაწყებული ენგურიდან, დამთავრებული ფსოუმდე ემოგზაურა და ეს ფოტოსესია ჩაეტარებინა. რომ არა მათი ნება და ხელშეწყობა, ის უბრალოდ ვერ შეძლებდა ვერც ამ ადგილების მონახულებას და ვერც მათ გადაღებას. მაღლობას ვუხდი მოხალისეებს, რომლებიც უანგაროდ მეხმარებოდნენ ამ პროექტის განხორციელებაში.

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: – ვინ ცხოვრობს ახლა ჩვენს სახლებში, ვინ ეპატრონება ჩვენს შესანიშნავ არქიტექტურას, რომელიც ასე ნადგურდება – ამ ყველაფერს ასახავს ფოტოგამოფენა, რომელიც ჩვენი ყურისათვის უჩვეულო სახელწოდებით – „სიჩუმის რეზოლუცია“ – წარმოგვიდგა, სიჩუმისა, რომელიც ყურში ჩაგდახის, გაღელვებს, მაგრამ რწმენასაც გიძლიერებს. ამ გამოფენას აფხაზეტებიც რომ დასწრებოდნენ, სულ სხვა კუთხით



შეხედვადნენ ყველაფერს – სიყვარულის, მონანიების, დაბრუნების განწყობით. დღეს თუ არა ხვალ, ეს ასეც იქნება.

პასკალ მენიე, საფრანგეთის ელჩი საქართველოში: – 27 სექტემბერს საქართველო იხსენებს თავისი ისტორიის ტრაგიკულ ეპიზოდს. 13 თვისა და 13 დღის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტს, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს დასრულდა, 14 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა და 300 ათასამდე დევნილად იქცა. საფრანგეთი, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, იზიარებს საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც ჰქვია ნაბიჯი უკეთესი

მომავლისაკენ. ეს არის გზა, რომელსაც ის უნდა გაყვას 25 წლის შემდეგ. ამ ღონისძიებაზე ფრანგი სენატორების ყოფნა და მათ მიერ ცხინვალის რეგიონში გამყოფი ხაზის მონახულება არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ საფრანგეთი მხარს უჭერს საქართველოს და მის პოლიტიკას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. დიდი ემოციები გამოიწვია თეატრალურმა წარმოდგენამ და კაპელას შესრულებამ. ორელიენ ვილელს და დალი დე გრაფს განსაკუთრებული მაღლობა გამოფენისათვის.

ქეთევან ციხელაშვილი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი: – განსაკუთრებული მაღლობა ფოტოგრაფს. ეს არის ძალიან ემოციური და შთაბეჭქავი ფორმა იმის გამოსახატავად, რასაც აღნიშნავს ეს დღე – 27 სექტემბერი. ეს ტკივილი არის საერთო, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც ის სტიკივით ყოველდღიურად უყვე 25 წელია. ბოლო ათი წელია დაშორიშორების პოლიტიკა უყვე დაუფარავად, ტანკებით, მავთულხლართებით და ყველა შესაძლო მეთოდით მიმდინარეობს. ამ ვითარებას გამარჯვებული არ ჰყავს და ამის სიმბოლოა ეს ფოტოებიც, სიმბოლო სიცოცხლის შეწყვეტისა, დაცარიელებული ადგილებისა. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მოსახლეობისაგან 70-80 პროცენტითაა დაცლილი. იქ განვითარების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. ეს არის დროსა და სივრცეში გაჭედილი მდგომარეობა, რომელიც არავის აინტერესებს. გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს – ხიდების გადება, ნდობის დაბრუნება და ურთიერთობის აღდგენა.

გამოფენა სოპრანო ნათია რაზმაძის დებიუტით დასრულდა. დამთვალიერებელი კი ომამდელი აფხაზეთის დღემდე შემორჩენილ კადრებთან დიდ ხანს იდგა და იქ დაბრუნებაზე ოცნებობდა.



„აფხაზეთში. ერთი მივლინების მოგონებანი“

ბარონი დე ბაი

ფრანგულიდან თარგმნა და შესავალი დაურთო
ანა ჭეიშვილმა

გაგრძელება

აფხაზეთის სამხრეთში მოგზაურობის შემდეგ დავბრუნდეთ სოხუმში და ჩავსდეთ ეტლში, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით გაგრისაკენ წავიყვანს. ჩემი მეგზური იყო თავაზიანი მეგრელი, ბატონი სახოკია, რომლის გვარიც მისი კუთხის ენაზე გვიმრას ნიშნავს. იგი ჩვენს მეეტლეს, წითელი და მზიარული სახის მეგრელს ასე მიმართავდა ხოლმე: „ფილუ, აქეთ! ფილუ, იქეთ!“ თუ გეტყვით, რომ მეეტლემ გასამრჯელოდ დიდი თანხა მოითხოვა, შეიძლება მისი ნათლობის სახელი განსაზღვრებით ზედსართავ სახელად ჩათვალით; მაგრამ სულ ტყუილად, რადგან ფილუ მეგრულად ფილიპეს კნინობითი ფორმაა, ისევე როგორც ილიკო – ილიასი. გზა სოხუმსა და ახალ ათონს შორის ოღრო-ჩოღრო და, ამავე დროს, მომხიბვლელია. იგი კვეთს ველებსა და ჭაობიან ტყეებს, რომლებიც ქალაქ სოხუმს ეკუთვნის. ტყეში გავლისას ტოტებიდან ცვარი მსხვილ წვეთებად გვეცემოდა, მაშინ როდესაც უღრანიდან გამოსვლისთანავე შუადღის თაქარა მზემ დაგვაცხუნა. ჩვენს თვალწინ გადაიშალა რუსულ ბაზარზე ასე ძვირად ღირებული თამბაქოს პლანტაციები. ამ კულტურის მოყვანას ძირითადად ბერძნები და სომხები, იშვიათად კი მეგრელები მისდევენ. დამუშავებული მიწები აქ შედარებით ნაკლებია. აქაური ნაყოფიერი მიწა ძირითადად ხეებითაა დაფარული, რომელთა ძირშიც ხშირი ბუჩქნარი იზრდება – ხვიარა, მცოცავი მცენარეები და უზარმაზარი გვირგვინები. ბებერ ხეებს აქ წვავენ და ისინი გზის გასწვრივ აღმართულ მოგიზგიზე სვეტებს გვანან.

გუდაუთის შემდეგ გზა ზღვას შორდება. საჭიროა მდინარე თეთრის (ხიფთა) ფონზე გავლა, რომლის სწრაფი დინება თეთრი რიყის ქვებით დაფარულ ფართო სივრცეზე თვითნებურად იცვლის კალაპოტს. საბედნიეროდ, ჩვენი გავლისას წყლის დონე მომატებული არ იყო. ზოგიერთ სეზონზე აქ გადასვლა შეუძლებელიც კი არის. ალბათ არაერთი აფხაზი დაღუპულა ამ ნიაღვრის გადაკვეთისას.

ახლა სწორედ ის დროა მოგიყვებო, თუ როგორ პოულობენ აფხაზები დამხრჩვალ ადამიანს სულს. დამხრჩვალის სხეულის სახლში მოტანის შემდეგ საჭიროა გარდაცვლილის სულის პოვნა, რადგან აფხაზებს სწამთ, რომ სული წყალში რჩება და მოკლებულია იმ სიმშვიდეს, რომელიც მას მისი ახლობლებისა და წინაპრების გვერდით ექნება. დამწუხრებული სული უგზო-უკვლოდ დაეხეტება მდინარეში, რომლის დატოვებაც არ ძალუძს და სასონარკვეთილი ითხოვს შველას. აფხაზები თავს ვალდებულიად თვლიან იგი ამ ტანჯვისაგან იხსნან. მიუღიო სოფელი იკრიბება შემთხვევის ადგილზე. ერთი ნაპირიდან მეორეზე ჭიმავენ თოქს, რომლის შუაშიც ჩამოკიდებულია უხზარი ტყავის ტიკი. იქ მყოფი ადამიანები წარმოთქვამენ მოწოდებას, რომელსაც თან ურთავენ დამხრჩვალ კალისა თუ მამაკაცის სახელს:

„მშვიდო სულო, ჩვენ აქ მოვედით, რომ სახლში წავიყვანოთ. იქ შეხვდები მათ, ვინც გიყვარდა და ვისაც უყვარდი. წამოდი ჩვენთან ერთად, გაიხარე და გაგვახარე“.

გლეხები მდინარის ორივე ნაპირზე დგანან. საუკეთესო მომღერლები დასძახებენ საუკეთესო სიმღერებს და ყველანი ცეკვავენ. ისინი ცდილობენ ახლობლის, მეზობლის სულის გადარჩენას. ეს მზიარულების დროა, რადგან მათმა მწუხარებამ შეიძლება შეურაცხყოფს გარდაცვლილის სული და იგი არ შეუერთდეს მის საძებრად მოსულებს. უხუცესები ყურადღებით უყურებენ ტიკს, რომ დაინახონ, თუ როდის შევა იქ სული ანუ როდის გაიბერება ტიკი. ისინი ანიშნებენ გლეხებს ხმას დაუნიონ, რომ სული არ შეზინდეს. როგორც კი სული ტიკში შევა, უხუცესები მიიჩქარიან ტიკის ასაღებად და დასახურებ. ამ დროს მზიარულება მატულობს და ყველა ცეკვა-ცეკვით მიემართება გარდაცვლილის სახლისაკენ. ტიკს საფლავეზე დებენ, ხსნიან და სული,

დასაწყისი გაზ. „ჩემი აფხაზეთი“ №43

რომელიც თავს შინ გრძნობს, მიფრინავს წინაპრებისაკენ. იგი გადარჩენილია!

სოფელი ლიხნი აფხაზთა სახლებით მოფენილი დიდი სივრცეა. იგი იმ გზას ესაზღვრება, რომელსაც ჩვენ მივუყვებით. ეს საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ამ ხალხის საცხოვრებლები და წეს-ჩვეულებები. აფხაზური ქოხი ძალზე პრიმიტიულია. ხის მსუბუქი კარკასები და ტიხრები დამზადებულია ტოტებისაგან, უმეტეს შემთხვევაში დანწული და შლამით შეღებილი იელისაგან. ჩალის სახურავი შესასვლელის მხარეს უფრო წვეტიანია. ჰაერი და შუქი საკმაოდ დიდი კარიდან აღწევს ქოხში. საცხოვრებლის შუაში, ზედ მიწაზე, ქვებით გარშემორტყმული კერაა. კვამლი მთელ შიდა სივრცეში იფანტება და გასასვლელს მხოლოდ სახურავის ბალახებს შორის პოულობს. ასეთ სახლს შორიდან თუ დაინახავთ, გეგონებათ, რომ იქ ხანძარია. ერთ ეზოშია თავმოყრილი ოჯახის სახლი, სახლი სტუმრებისათვის, ბოსელი და სხვ.

მიუყვებით ამ ოღროჩოღრო და თვალწარმტაც გზას. გავიარეთ სოფლები ზვანდრიფში და ჩაბალურხვა, რომლებიც გორაკებით გარშემორტყმულ მშვენიერ ადგილებს წარმოადგენს. ადგილობრივი რთული ლანდშაფტის გამო გზა დაკლანძვილი და ციცაბოა. დასახლებულ ცენტრებთან უხვად არის მცენარეულობა, საუკუნოვანი ხეხილი, რომელთა ვარჯზეც გიგანტური გველის სეზონის მსგავსად ვაზია შემოხვეული. ვაზი ხის ტოტებში არის ასული და იქ შლის თავის ლერწმებს. ჩემი მოგზაურობა რთველის პერიოდს დაემთხვა; აქ რთველი საპეროა. ფოთლებში აცოცებული მარჯვე აფხაზები მოიხფრო მტევნებს კრფდნენ, კონუსისებური კალათებით ქვემოთ უშვებდნენ და შემდეგ ურიკებს ტვირთად ედნენ, რომლითაც ისინი სანახვლამდე მიჰქონდათ. ყურძნის დაწურვისა და ღვინის მომზადების წესი აქ ძალზე პრიმიტიულია. აფხაზები ღვინოს დიდხანს არ ინახავენ, რადგან მაჰმადიანური რელიგია, შეზავებული ნახევრად წარმართული და ნახევრად ქრისტიანული რწმენით, მათ არ უკრძალავს ღვინის სმას. სანამ ღვინო აქვთ, არ იციან მისი გამოზოგვა, ხოლო როდესაც გაუთავდებათ, წყალს სვამენ. ძირითადი საკვები არის სიმინდის ფქვილი, რისგანაც ისინი ერთგვარ ფაფას ამზადებენ. მას ცხელს მიირთმევენ და შიგნით თეთრი ყველის პატარა ნაჭრები არჭობენ, რომლებიც ცხელ საჭმელში უცებ რბილდება. აფხაზები ასევე ქაშენ თხისა და ფრინველის ხორცს.

ჩაბალურხვას მახლობლად გადავდივართ მდინარე მავზე, რომელსაც სახელი რიყის ქვების მუქი შეფერილობის გამო დაერქვა.

გზაზე ფოტოს ვუღებთ აფხაზ ცხენოსანთა ჯგუფს, მათი ჩაცმულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ – თავადებს. ვინც გლეხი არ არის, ყველა თავადია. მხედრები რთულ გზებზე სიარულს მიჩვეულ პატარა ცხენებზე სხედან. მამაკაცები ყოველთვის წინ მიდიან, რათა მათ უკან მიმავალი ქალები საფრთხისგან დაიცვან. აფხაზებს, მეგრელების მსგავსად, თავზე არტისტულად დრპირებული ყაბალახი ახურავთ, ჭეშმარიტი ელვანტურობით ატარებენ ნელზე შემოჭერილ ჩოხას და წვიმისა და სიცხის დროს გრძელბეწვიან შავ ნაბადში ეხვევიან.

ქალბატონებს ეროვნული სამოსი გაუხდიათ, მეტ-ნაკლებად უცვლელი მხოლოდ მეგრული თავსაბურავია. რაოდენ განცვიფრებული და იმედგაცრუებული დავარჩი, როდესაც ისინი კორსაუიანი და ბუფებიანი კაბებით შემოსილნი ვიხილე. მოდამ აქაც შემოაღწია და ყველაფერი ტრადიციული წაღეკა.

თუმცა სოფლებში ძველი ჩვეულებები უცვლელი დარჩა. აქ სასაფლაოებს ვერ ნახავთ. მიცვალებულთა განსასვენებლები სახლების მახლობლად – ეზოებშია. საფლავები შორიდანვე მოჩანს. გზის გასწვრივ მდებარე ბევრ საფლავს გადავუღე ფოტო. ისინი შემოსაზღვრულია ხის მოაჯირით და ხისავე სახურავით არის გადახურული. მოაჯირზე ხშირად ნაჭრები ჩამოკიდებული. ერთხელ იქ პერანგიც კი დავინახე. ამან ძალიან დამაინტერესა და ვიკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს ჩვეულება. ჩემი მეგრელი მეგზურისათვის რთული აღმოჩნდა იმ აფხაზების პოვნა, რომლებსაც მისი ენა ესმოდათ. საბოლოოდ შევიტყვეთ, რომ ეს გარდაცვლილის ტანსაცმელი იყო, რომელსაც ჭირისუ-

ფალი ღარიბი გამგლელებისათვის ტოვებდა. შევეშვით თანამედროვე მსჯელობას და გარდაცვლილის ტანსაცმლის გაჭირვებული ცოცხალი ადამიანისათვის ჩუქებას ნუ განვიხილავთ სამგლოვია-რო რიტუალად და ნურც ჰიგიენის წესების დარღვევად; ეს ხომ ძველი დროიდან შემორჩენილი კეთილშობილური და ამალღებული საქციელია.

ახლა კი დროა მოგიტოროთ და საკრძალავ რიტუალებთან დაკავშირებული რამდენიმე ჩვეულების შესახებ.

აფხაზი მამაკაცის გარდაცვალებისას ოჯახის დიასახლისი მის საყვარელ კერძებს ამზადებს და თავთან უწყობს, რათა იმქვეყნიურ ცხოვრებაში საქმელ-სამგელი არ მოაკლდეს. თუ გარდაცვლილი მწველი იყო, კერძების გვერდით ანთებულ ჩიბუხსაც დებენ. რიტუალზე არავის ეპატივებიან, თუმცა ყველა მოიჩქარის გამოსამშვიდობებლად. მოტირალი ქალები კუბოს გარშემო სხედან. მომსვლელები შესასვლელ კართან, პატარა სკამზე ტოვებენ თავსაბურავებს, ნაბდებსა და იარაღს. ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ცერემონიას ხელმძღვანელობს, მოსულეებს ეგებება და სახლში წელზე ხელის შემოხვევით შეაცილებს. ქალები მამინვე იწყებენ მოთქმას. მამაკაცები შუბლზე ხელს ირტყამენ; ოდესღაც ისინი ამას ტყავის ნაჭრით აკეთებდნენ. აქვე მოგახსენებთ, რომ ახალგაზრდა პატარძალს კერძალება მეუღლის დატირება. ახალგაზრდა მამაკაცისათვის კი მეუღლის ან შვილების დატირება სამარცხვინო საქციელად ითვლება.

სამგლოვიაო საკვებით ყველას უმასპინძლებიან. ეზოში გარდაცვლილის ცხენი დგას, რომელსაც მავი ნაჭერი აქვს გადაფარებული. თუ გარდაცვლილი დაქორწინებული იყო, მისი ცოლის ცხენიც იქვეა. ეს ცხენები საფლავამდე მიჰყავთ, მაგრამ მსხვერპლად აღარ სწირავენ, როგორც ეს ოდესღაც ხდებოდა. დაკრძალვის შემდეგ გარდაცვლილის ტანსაცმელს იმ ადგილზე შლიან, სადაც მას ეძინა. დაგვიანებით მოსულნი მის ტანსაცმელს დასტირიან.

ორი-სამი კვირის მანძილზე გარდაცვლილისათვის განკუთვნილ საჭმელს ცალკე დებენ, რომ მისი სული დანაყრდეს. გლოვის ნიშნად ახლობელი მამაკაცები ერთი წლის მანძილზე თმას არ იჭრიან. აქვე მოგახსენებთ, რომ აფხაზებში გავრცელებულია თავის კანის დაავადება, რომელიც ადრეულ სიქაჩლეს იწვევს.

გარდაცვლილის სახეზე მგზავრებისათვის გზის პირას აშენებენ მცირე თავშესაფარს – აფხაზურად „აბაკა“. აქ შეყოვნებული მგზავრი წასვლისას აუცილებლად მოიხსენიებს გარდაცვლილის სახელს. პერიოდულად ოჯახის წევრები აბაკაში საჭმელს ტოვებენ. გამგლევი მას მიირთმევს, მაგრამ ჭურჭელი თან არასდროს მიაქვს.

გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ყველას ეპატივებიან სადღესასწაულო სადილზე, რომელსაც „აფსხურა“ ეწოდება. ეს სადილი გარდაცვლილის პატივსაცემად იმართება, რათა იგი იმ ქვეყნად საჭმლის გარეშე არ დარჩეს. ამ ალაპების მნიშვნელობაზე შეგიძლიათ შემდეგი თქმულებით იმსჯელოთ. ერთი აფხაზი, სახელად ზესერხვა, სამოთხეში სადილის დროს შევიდა. ყველა მის მეზობელს ჰქონდა საჭმლით გაწყობილი მაგიდა, მხოლოდ საწყალი ზესერხვას სუფრა იყო ცარიელი. გვერდით მყოფებმა გაუჩინა საჭმელი და გაკვირვებულებმა ჰკითხეს: „გვითხარი, ზესერხვა, რატომ არ გაქვს სუფრა გაშლილი?“ „ძალიან უბედური ვარ, – უპასუხა მან, – არავინ დამოწა დედამინაზე ისეთი, ვინც ჩემზე იზრუნებს“. საბრალო ზესერხვას შემთხვევა, რომელიც სამოთხეში საჭმლის გარეშე შევიდა, იშვიათია.

ციდან დედამინაზე დავბრუნდეთ და მოგახსენებთ, რომ ეს სადილი ნამდვილი მზიარულებაა. აფხაზები ლამაზი იარაღით მოკაზმულნი და ცხენებზე ამხედრებული მოდიან. ლხინი ყოველთვის სრულდება რბოლითა და მიზანში სროლით. სწოლზე მიცვალებულის ტანსაცმელს ალაგებენ და ისე დასტირიან, თითქმის იგი ახალი გარდაცვლილი იყოს. შემდეგ კი მაგიდას მიუსხდებიან და მზიარულობენ.

დასაკრძალავ ალაპებზე საუბრის შემდეგ უფრო მზიარულ თემაზე გადავი-
გაგრძელება



ბარონი დე ბაი



დრანდის ეკლესია, 1903 წ.



სვიმონ კანანელის ეკლესია, 1903 წ.



ძ. ბაგრა, რესტორანი. 1903 წელი

ბარონ დე ბაის ფოტოები

აფხაზეთის იაპონური მარტვილის საშემოდგომო ფესტივალის სუბტიტლი

სალომე თორია

დადიანების უმშვენიერესი საშემოდგომო რეზიდენცია მარტვილში კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს სახელწოდებით – „სალხინოს სასახლის კამერატი“ წლეულს მეოთხედ მასპინძლობდა. ფესტივალის მთავარი მიზანმიმართული, მეუფე პეტრეს (ვა-ავა) ლოცვა-კურთხევით, პროექტ Check in Georgia-სა და მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა. წლევიანდელ ფესტივალზე ასევე წარსდგა გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა ზვიად ბოლქვაძის ხელმძღვანელობით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

საქართველოს ყველა კუთხე რომ გა-მორჩეულად ლამაზია, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ ვინც მარტვილში ერთხელ მაინც ყოფილა, თანაც შემოდგო-მისას, დამეთანხმება – ნელინადის ამ დროს, სალხინოს სასახლე ნამდვილ სამოთხე, ემზავსება დედამიწაზე. როგორც ჩანს, ფესტივალის დამფუძნებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, დირიჟორმა შიო აბრახამი-ამ შეგნებულად შეარჩია ეს ადგილი. დახვე-ნილი არქიტექტურით გამორჩეული სალხინოს სასახლე ხომ XIX საუკუნეში კულტურულ-შემეცნებითი საღამოების მასპინძელი იყო. „კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტი-ვალის“ ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ამ ფესტივალის სახით მარტვილში ერთი ლა-მაზი ტრადიცია გაცოცხლდა. მათივე აზრით, ფესტივალის მიზანი მხოლოდ კულტურულ-სალონური საღამოებისა და კონცერტების ჩა-ტარების ტრადიციის აღდგენა არაა. ფესტი-ვალის ფარგლებში ბევრი უცხოელი მუსიკოსი სტუმრობს ამ ულამაზეს მხარეს და ქართულ

კულტურას ეცნობა. სალხინოს მუსიკალური საღამოები ყოველწლიურად ახალ სახეებსა და საანსამბლო შემადგენლობებს სთავაზობს მა-ყურებელს, ამ მხრივ გამონაკლისს არც წლე-ვიანდელი ფესტივალის წარმომადგენელი. ფესტივალის პირველი და მეორე საღამო სალხინოს მარნის არაჩვეულებრივ დარბა-ზში შედგა, ხოლო დასკვნითი საღამო კი ღია სივრცეში – თავად სასახლის ეზოში. სამი დღის განმავლობაში ავსტრიელი, ლიეტუველი და ქართველი შემსრულებლები მაყურებლის წინაშე მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით წარსდგნენ. მონაწილეთა შო-რის იყვნენ: აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა და მაესტრო ზვიად ბოლქვაძე; ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პიანისტები: ვალერიან შიუკაშვილი და თა-მარ ლიჩელი, ავსტრიელი მუსიკოსებისგან შემდგარი საფორტეპიანო ტრიო „ACCIO“ და კლასიკურ აკორდეონზე შემსრულებელთა ტრიო „INDEED“ ლიეტუვიდან. ფესტივალის პირველი დღე ვირტუოზ პი-



ანისტებს, არაერთი ეროვნული და საერთა-შორისო კონკურსების ლაურეატებს: ვალერი-ან შიუკაშვილსა და თამარ ლიჩელს დაეთმო. ვ. ა. მოცარტის, ფ. შოპენის, პ. ჩაიკოვსკის, ს. რახმანინოვის, მ. დავითაშვილისა და მ. რა-ველის ნაწარმოებების შესრულებამ მსმენელს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

უმნიშვნელოვანესი და მრავალფეროვა-ნი იყო ფესტივალის მეორე დღე. საფორტე-პიანო ტრიოსა და კლასიკურ აკორდეონზე შემსრულებელთა ტრიოს შთაბეჭდავი გა-მოსვლის შემდეგ მაყურებლის წინაშე აფხა-ზეთის სახელმწიფო კაპელა და მაესტრო ზვიად ბოლქვაძე წარსდგნენ. სანამ მათი გა-მოსვლის შესახებ გაამბობდეთ, მანამდე არ შემოიღია არ ალენიშო ტრიო „INDEED“, რომელმაც მსმენელებზე წარუშლელი შთა-ბეჭდილება დატოვა. კლასიკურ აკორდეონზე შემსრულებელთა ტრიო აერთიანებს წარმა-ტებულ ლიეტუელ ახალგაზრდა მუსიკოსებს: ლაიმონას სალიუსს, სანდრა ვევერს კაიატესა და ლუკას კატიანას. მუსიკოსებმა სალხინოს ფესტივალის მსმენელებს თავი დაამახსოვრეს ი. ს. ბახის, ა. ვივალდის, ს. ვოიტნოს, კ. ჯენკინსის, ა. პიაოლას ნაწარმოებების ორიგინალური ინტერპრეტაციით, ხოლო დასკვნით კონცერტზე მათ მიერ შესრუ-ლებულ რ. ლალიძის „თბილისის“ კი მხურვა-ლე ოვაციები ხვდა წილად.

რაც შეეხება გურამ ყურაშვილის სა-ხელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას, მან თავისი მაღალი პროფესიო-ნალიზმითა და საშემსრულებლო ოსტატობით ამჯერადაც მოხიბლა აუდიტორია. ფესტი-

ვალის იდეის ავტორის, შიო აბრახამიას გა-მორჩეული წარდგინების შემდეგ, რომელმაც მოკლედ და ამომწურავად ისაუბრა საგუნდო კოლექტივის მიღწევების შესახებ, მსმენელის წინაშე გურამ ყურაშვილის სახელობის აფხა-ზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა მა-ესტრო ზვიად ბოლქვაძის ხელმძღვანელობით წარსდგა. საგუნდო კოლექტივმა მრავალფე-როვანი რეპერტუარი წარმოადგინა. მათ მიერ ზ. ბოლქვაძის, გ. ჩლაიძის, მ. ლაურიდესისა და ა. კუკო პენიას ნაწარმოებების შესრუ-ლებას, ჯეირანის (დამუშავების ავტორი ზ. ბოლქვაძე) ახალ ინტერპრეტაციას მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა მსმენელი.

განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო ფე-სტივალის დასკვნითი საღამო. საზეიმო ატ-მოსფეროს ხალხმრავლობასთან ერთად საკონცერტო სივრცე აძლიერებდა. გალა-კონცერტი სალხინოს სასახლის ხეივანში, ღია ცის ქვეშ გაიმართა. ფესტივალში მონაწილე მუსიკოსებმა მსოფლიო კლასიკური მუსიკის ცნობილი შედეგები, მათ შორის ქართული კომპოზიციები შეასრულეს. კონცერტის და-სასრულ ფესტივალის სტუმრებმა, ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა: ეკა მამალაძემ და ნუკრი კაპანაძემ მეგრული სიმღერების პო-პური გურამ ყურაშვილის სახელობის აფხა-ზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელასთან ერთად შეასრულეს.

დადიანების უმშვენიერეს საშემოდგომო სასახლის ულამაზეს გარემოში გატარებულმა სამმა მუსიკალურმა საღამომ თითოეულ მო-ნაწილესა და მსმენელში დაუფინყარი შთა-ბეჭდილება დატოვა.



მშვიდობის უარის მომავალს

მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის სლოგანი იყო

ნონა ბერაია



21 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნ-ბო განყოფილებისა და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ ორგანიზებით მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი კვირეული – „მშვიდობა უდრის მომავალს“ ჩატარდა.

კვირეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-კის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სამშვი-დობო ინიციატივების ფარგლებში, მათივე მხარდა-ჭერით მიმდინარეობდა. მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი კვირეულის დახურვის ცე-რემონია ვ. არქანიას სახელობის არტ გალერეაში შედგა 1 ოქტომბერს, რომელიც ასევე ხანდაზმულთა საერთა-შორისო დღედ არის გამოცხადებული. ამდენად ეს ორი თარიღი გაერთიანდა და კვირეულის აქტივობებში მო-ნაწილე ბავშვებს დიპლომები გადაეცათ, ხოლო სათნო-ების სახლ „კათარზისის“ ბენეფიციარებს სიმბოლური საჩუქრები.

დამსწრეთ მიესალმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტო-ნომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის



მინისტრის მოადგილე ბესიკ ოდიშარია, არასამთავრო-ბო ორგანიზაცია „კავშირი – მადლის“ ხელმძღვანელი ფლორა შენგელია, ქველმოქმედი გულიკო ორაგვე-ლიძე და სხვ. მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავში-რის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ აღსაზრდელებმა.

„აფხაზეთში. ერთი მივლინების მოგონებანი“

გაგრძელება, დასაწყისი მე-6 გვ.

დეთ და რამდენიმე სიტყვა აფხაზურ ქორწილზეც ვთქვათ.

გოგონები ცამეტი-თოთხმეტი წლის ასაკში თხოვდებიან. ეს არის ქორწინება მოტაცებით, ისევე როგორც ჩერქეზებში. ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა მამაკაცი მეგობრების დახმარებით იტაცებს მომავალ მეუღლეს. ქალიშვილის მიერ ვაჟისათვის მიცემული პირობა წმინდაა. თუ იგი აზრს შეიცვლის, ვაჟი შურს იძიებს. იგი ავალებს თავის ერთ-ერთ მეგობარს სახალხოდ გამოაცხადოს, რომ ქალიშვილმა პირობა გატეხა და ცოლობაზე უარი თქვა; წყეული იყოს ის, ვინც მას შეირთავს. უარყოფილი საქმროს შურისძიების შიშით ვეღარავინ გაბედავს ამ გოგონაზე დაქორწინებას. ამ განცხადების შემდეგ ვაჟი ცდილობს მოიტაცოს პირობის გამტეხი, მოპაროს ან შემოახიოს ტანსაცმელი. ასეთი სკანდალის შემდეგ ვინღა მოინდომებს მის ცოლობას?! ყოველივე ამის მიუხედავად ქალიშვილის მშობლები შეიძლება არ შეუშინდნენ უარყოფილი საქმროს რისხვას და იგი გაათხოვონ. ამ შემთხვევაში ადგილობრივი ადამიანი ახალგაზრდა მამაკაცს შურისძიების უფლებას აძლევს. იგი შურს იძიებს ყოფილი საცოლის მამის, ძმის ან მეუღლის მოკვლით.

ახალგაზრდა გოგონა მხოლოდ ისეთ მამაკაცს მიჰყვება ცოლად, ვისაც ცხენები მოუპარავს, რადგანს ამ ტიპის ქურდობა სანაქებო საცქილეა.

აფხაზი თავადები თვითონ არ ზრდიან თავიანთ შვილებს, ეს დამამცირებლად ითვლება. ბავშვს აღსაზრდელად მიაბარებენ გლეხის ოჯახში, რომელიც ამით სასარგებლო მფარველობასა და გარკვეული სახის ნათესაობას მოიპოვებს. მართლაც, ძუძუმტეები ნამდვილ დამად ითვლებიან.

განვავრდოთ გზა და არ შევუშინდეთ იმ წინააღმდეგობას, რასაც გზაზე თხის ჯოგები გვიქმნის. მწყემსები, ისევე როგორც ფეხით მოსიარულეთა უმრავლესობა, გრძელტარიან პატარა ნაჯახს ატარებენ. მას აფხაზურად „აი-გუში“ ეწოდება და ტყეში გზის გასაკაფად გამოიყენება.

გამვლელები მხარს ზევით აწეული მუშტით გვესალმებიან.

ამ ველურ ბუნებაში, სადაც საცხოვრებელი სახლებია მიმოფანტული, ერთ აფხაზურ ოჯახს თავისი სახლის წინ ფოტო გადაუღე. ადგილობრივი გლეხის ქალები მეგრელებივით ლა-

მაზები არ არიან, მათ უფრო ტლანქი ნაკვთები და კეხიანი ცხვირი აქვთ. იქვე სიმინდის მოსავალს იღებდნენ. მოშორებით ფუტკრის სკა შევნიშნე, რომელსაც ხის ჯოხზე ჩამოცმული ცხენის თავის ქალა ავი თვალისაგან იცავს.

სოფელ ბარმიშში ქვისა და ხის მორები-საგან დამზადებული ყურძნის პრიმიტიული საწნეხი ვნახეთ.

მალე ჩვენი მოგზაურობის მანძილზე ყველაზე ლამაზ და თვალწარმტაც ადგილს მივუახლოვდით. მდინარე ბზიფის ხიდიდან დიდებული პეიზაჟი იშლება: ხმაურიანი ნიაღვარი ვიწრო ხეობიდან გამოედინება. ჰორიზონტზე გაშლილია მუქი ნაძვებისა და ბზინვარე თეთრი თოვლის პეიზაჟი. მარცხენა მხრიდან ხეობაში შესასვლელს მთა იცავს. მის მწვერვალზე ციხესიმაგრისა და ეკლესიის ნანგრევებია, რომლებიც აფხაზურ სოფელ კალდახვარას გადმოსცქერის. ამ სოფელში, აფხაზთა ჩვეულებების საპირისპიროდ, სახლები ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ არის განლაგებული. ადგილობრივი ხის ეკლესიის არსებობა გვაფიქრებინებს აფხაზების შესაძლო ქრისტიანობას. შეიძლება ასეთები არსებობენ კიდევაც, თუმცა სინამდვილეში ისინი წარმართები უფრო არიან. აფხაზები ლოცულობენ წმინდა ხეზე, რადგან ოდესღაც ნამდვილი საკულტო ადგილი იდუმალი ტყე იყო. კალდახვარას წმინდა ხე ძალიან დიდი ხნის არის. იგი მდინარის ნაპირზე დგას და მისი ფესვები ალბათ სწორედ იქიდან იღებენ ძალასა და უკვდავებას. მისი ძლიერი ტოტების ჩრდილქვეშ ოთხი სარით არის მოწიშნული მსხვერპლშენივით ადგილი. სარებზე ცხოველის რქები ჩამოცმული.

ჭექა-ქუხილის დროს აფხაზები თავს რცხილის ქვეშ აფარებენ. ეს ხე, რომელსაც აფხაზურად ახრეცა, მეგრულად კი მხეიძე ეწოდება, წმინდაა. ამ ხის სინმინდეს ადგილობრივი ლეგენდა ასე განმარტავს: მხეიძე არის იმ მეგრული ოჯახის გვარი, რომელსაც წმინდა ქალწული მიეკუთვნებოდა. აი, ქართველთა ქრისტიანული და აფხაზთა წარმართული წარმოდგენების ჭეშმარიტად საინტერესო ერთიანობის ფაქტი.

წმინდა ხე კერპთაყვანისმცემლობის ერთადერთი კვალი არ არის. მე ასევე ვნახე ცეცხლისა და სამჭედლოს სამსხვერპლო. იგი ღია ცის ქვეშ მდებარეობს და ხის ვარჯზე დადებულ რამდენიმე ფიცარს წარმოადგენს. ამ ფიცრებზე, რომლებზეც დამწვარი სანთლების კვალია,



ბარონი დე ბაი და დავით სარაჯიშვილი

იდო მაშები, ჩაქუჩი და ხის პატარა თასი, ოსები რომ ხმარობენ, იმის მსგავსი. ახალ წელს ამ სამსხვერპლოს გარშემო დღესასწაულობენ.

მსახურებას მჭედელი ასრულებს. ცეცხლი ანთებულია, თხა კი – მსხვერპლად შეწირული. მჭედელი შამფურზე აგებს მსხვერპლის ღვიძლსა და გულს, იჩოქებს და ლოცულობს: „ო, შასმ-ვი, ჩვენ მოვედით შენთან. გთხოვთ მიიღო ჩვენი ძღვენი და დაგვიცვა, როგორც სახლში, ასევე მოგზაურობისას, როგორც გზაზე, ასევე ტყეში“.

მჭედლები, ისევე როგორც ძველად, დღესაც ასრულებენ საკრალურ რიტუალებს. თუ ადამიანმა ფიცი უნდა დადოს ან დაამტკიცოს თავისი უდანამართლობა, ის მჭედელთან მიჰყავთ. მან უნდა წარმოთქვას შემდეგი სიტყვები: „თუ მე ჩავიდინე დანაშაული, რომელშიც ბრალს მდებენ, დაე შასმემ ამ ჩაქუჩით თავი გამიტყოს“. ამ სიტყვების წარმოთქმისას იგი ჩაქუჩს იღებს და გრდემლზე სამჯერ არტყამს.

შასმეი არ არის ერთადერთი აფხაზური ღვთაება. ღვთაება აფუ, ყველაზე ძლიერი და სასტიკი, ჭექა-ქუხილს მართავს და მბრძანებლობს ბუნების მოვლენებზე. სწორედ მას

მიმართავენ ჯოგების მთებში დასაცავად და მასვე სწირავენ სამადლობელ მსხვერპლს, როდესაც ჯოგი უვნებელი ბრუნდება მთიდან. ღვთაება აფუს ევედრებიან წვიმის მოსვლას. ამ ღვთაებას სწირავენ მსხვერპლს, როდესაც ადამიანი ან ცხოველი მეხის დარტყმისაგან იღუპება. ამ ბოლო შემთხვევაში ხის ტოტებისაგან აგებენ ამაღლებულ სამსხვერპლოს, რომ მის წვერს ძაღლები და მგლები ვერ მისწვდნენ. მაცხოვრებლები მოდიან, ცეკვავენ და მღერაინ მეხით მოკლული ცხოველის გარშემო. მას დებენ ამ იმპროვიზებულ საკურთხეველზე, რათა ის ფრინველთა ნადავლი გახდეს. იგივეს აკეთებენ როდესაც მეხის მსხვერპლი ადამიანია. მიცვალებულის გარშემო მოცეკვავე მშობლებმა არ უნდა იტირონ, ტირილმა შეიძლება ღვთაება აფუ გააბრაზოს და მან შური იძიოს.

აქვე ჩამოვთვლით რამდენიმე ღვთაებას: აბნა – მონადირეთა მფარველი, აითარი – შინაურ ცხოველთა მფარველი და ჯაჯი – მინის ნაყოფიერების ღვთაება.

აი, თქვენ უკვე გაეცანით აფხაზთა რელიგიას.

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად

ქათი ღვთისა

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს აფხაზეთის კულტურულ ფასეულობებზე ზრუნვა და მათი პოპულარიზაციისთვის ხელშეწყობა. რუსეთის მიერ განხორციელებული განდამტყვრის აქტების შედეგად აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობა კარგავს თავის პირვანდელ სახეს. ამასთანავე მათზე ინფორმაცია ჩვენთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს. აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად ჩვენს მკვლევარებს არა აქვთ შესაძლებლობა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მონახულებისა და იქ კვლევითი სამუშაოების ჩატარებისა.



ნებისა და მეზობელი ქვეყნების არქიტექტურასთან შედარების საფუძველზე განხილული ნაგებობები მიკუთვნებულია შუა საუკუნეების ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების რიგს და გამოყოფილია განმასხვავებელი ის თვისებები, რომელიც დამახასიათებელი იყო ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციისათვის.

ლევან (ლეო) რჩეულიშვილის ხელახალი გამოცემა – „VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება აფხაზეთში“ დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე. მისი რეზიუმე ითარგმნა გერმანულიდან ინგლისურ ენაზე. წიგნის ხელახალი გამოცემის მთავარი რედაქტორია დიმიტრი თუმანიშვილი, რედაქტორები კი არიან ირაკლი გელენავა, გიორგი პატაშური და ქეთევან დავითაია.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით, ასევე გამოსცა ალბომი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი – მოკლე მიმოხილვა“, რომელშიც შესულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქიტექტურის, მცირე ხელოვნებისა (რელიეფები, ჭედრობა) და ხელნაწერების ნიმუშები, მათ შორის ამავე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების ილუსტრაციები. ალბომში აფხაზეთის ა/რ მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია უახლესი ფოტო-მასალით. ამ ეტაპზე გამოცემის ძირითადი ნაწილი დაეთმო აფხაზეთის ა/რ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობას, რომლებიც დღესდღეობით დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში. ალბომი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი – მოკლე მიმოხილვა“ წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ტექსტის ავტორია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლია ახალაძე.



აღსანიშნავია, რომ ეს გამოცემები წარმოდგენილი იყო ქალაქ ფრანკფურტში გამართულ წიგნის ბაზრობაზე. გამოცემების მიზანია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ.

„მბერდგი მიგრული გეგით“



ასე ჰქვია ნუნუ ჯანელიძის პოეტურ კრებულს, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ და „ჩვენმა მწერლობამ“ გამოსცა. ნიგნის რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, მხატვარი დალი მუხაძე. ეს ნუნუ ჯანელიძის მეორე პოეტური კრებულია, ანუ მისი მეორე „ნიგნი-შესაკრებელი“, როგორც მას ნატა ვარადა უწოდებს კრებულის წინასიტყვაობაში „აღსადგენად ნაშლილი ფრესკების“.

გულწრფელობით გამორჩეული, საინტერესო ხმისა და ფერის პოეტი „ნიგნი-შესაკრებელში“ თავს უყრის ნუთისოფლის „საკითხავს“ – კარგსაც და ცუდსაც, მხიარულსაც და ნალვლიანსაც... რასაც პოეზიის ბევრი მოყვარული თავის სათქმელადაც აღიქვამს...

„ნაფიქრისა და გულწრფელობის ხარჯზე პოეტი ნიგნით გულს გვიშლის, ჰიმნოგრაფების გვერდით დგება და ადამს, როგორც საკუთარ თავს „ერთ არს მამაკაცნი და დედაკაცნი“ – პრემბულად ბიბლიური სულისკვეთებით შეგვახსენებს.

ნუნუ ჯანელიძის ფიქრი ყოველდღიური ამოცანებით არის გარემოცული, თუმცა დეტალებშია ცხოვრებაც და ღმერთიც, რის გამოც ეს ამოება იმედიტა და რწმენით იცვლება – სიყვარულისთვის.

რას უპირისპირებს ქალი ცხოვრებას, რომელსაც ერთი წამით თუ თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა?! პოეზიას,“ – წერს ნატა ვარადა და მერე ერთ ძალიან მნიშვნელოვან რამესაც დასძენს: „ნუნუ ჯანელიძის ნიგნის დამეგობრებით გრძელი, ნათელი ღამეების ან ხანგრძლივი მარტოობის გადაგორებაც შესაძლებელია“.

ამაზე მეტი ან კი რა უნდა შეძლოს ერთი პოეტის ერთმა ნიგნმა? გთავაზობთ ლექსებს ნუნუ ჯანელიძის კრებულიდან „მკერდზე მიკრული ზეცით“, ვინძლო თქვენც გაგიჩნდეთ მსგავსი განცდა და კრებულის მოძიებაც მოგიხდეთ.



ნუნუ ჯანელიძე

ანი იძრა, ბანი იძრა,
ხე იძრა და წყალი იძრა,
ახალი დღე იბადება,
გაზაფხულმა გაიღვიძა.
ანი დადგა, ბანი დადგა,
ხე დადგა და წყალი დადგა,
გაზაფხული იზმორება,
ახალი დღე დაიბადა.

მეგობარო, მითხრა უფალმა, მეგობარო,
სიტყვა-დესპანით შემომეგება
და მე, მგომბარი,
გამიხადა თავის მოყვარედ;
მეგობარო, მითხრა უფალმა, მეგობარო
და ამომავალ მზეს შემახედა.

ერთმა ჩრდილმა უთხრა მეორეს:
მე უფრო დიდი ლერწმის
ჩრდილი ვარ
და უფრო დიდი წილი მაქვს
ქვეყნად;
...თუმც ორივენი ერთნაირად ჩაქრნენ
სალამოს...

დღეს ვალი ცრემლით გადავიხადე;
ხურდა ფულივით გავეცი ცრემლი
და მაღლიერი დავრჩით ორივე -
მსესხებელიც და მბოძებელიც.
დღეს ვალი ცრემლით გადავიხადე...

მხარი მეცვალა– გზას მივყავარ დასაწყისისკენ,
როცა ჯერ კიდევ სიტყვაში ვიყავ
და მარადიულ ნიგნის ხნულში,
როგორც მარცვალს, მშვიდად მეძინა.
მხარი მეცვალა – გზას მივყავარ დასაწყისისკენ...

სახლს სული ჩაედგა:
ერთანეთს მისდევენ ქვაბები, ჩამჩები,
სურათები ლამაზი ჩარჩოებით
და ერთანეთს ასწრებენ სკამები ყიჟინით;
მხოლოდ სიტბოს, ხსოვნა ჩარჩენილს,
არსად ერქარება
და კერის ფუძეში
მშვიდად შეყუჟულა.

გახსენება
ვითომ სიყვარული იყო,
ვითომ იყო თვალთა ფრენა,
ვითომ წამით თითბრის თასი
ოქროს წყალმა გადაფერა.
ვითომ სიყმაწვილევ იყო,
ვითომ იყო თავგანწირვაც,
ბროლის მიღმა ზღვას მოჰგავდა
გრძნობის წვეთი პანანინა.
ვითომ ყველაფერი იყო.
მარტო მარტი იყო კუშტი.
ვითომ არაფერი იყო;
ბენეს მოედო საპნის ბუშტი.

განა ლექსს ვწერდი,
სიტყვას გულის პნკარზე ვანყობდი;
ვგრძნობდი ანწყოთი რადგან ხვალის მოახლოებას
და მამხილებლის განწირული გაბედულებით
სიტყვებს შორის ზარს ვარისხებდი.
განა ლექსს ვწერდი,
ჩამომქონდა ციდან პნკარ-პნკარა
ნიშნები ჟამის.

შუალამეა;
მაფხიზლებლად
მუზა მომსვლია;
თავს ვეკითხები: ახლა ლექსი
რალა დროსია.
ხანს გადავსულვარ, ტანი
ვარდით შემიმოსია,
გულს ვეკითხები: სიყვარული
რალა დროსია.
დრო დამიკარგავს:
ვენახი და ყანა
მომსრვია,
ცრემლი მდის, მაგრამ სინანული
რალა დროსია.
ჟამი მოსულა: ცას ავხედე
ანგელოზიანს,
ლოცვა მსურს; ნუთუ
ღმერთიც მეტყვის:
რალა დროსია...

ო, როგორი ბედნიერებით
ხელს ჩავჭიდებდი ყველას,
ვინც მიყვარს
და გამოვწვედი შენკენ
გალობით
და უგვან ვნებებს
გზას ვუგანებდი...
ო, როგორი ბედნიერებით....

რაკი ყველაფერს აქვს დასასრული,
ვიცი, მორღვეულ ტკივილებსაც
ჟამი ბოლოს გამოუნასკვავს
და გააბრწყინებს ჩემს თავზეც
ვარსკვლავს,
მაუწყებელს განთიადისას.
რაკი ყველაფერს აქვს დასასრული....

იქნებ არც მინდა, რომ იგივე მდინარეში,
სადაც ათასჯერ დათვლილი მაქვს ყოველი კენჭი
და დაღეჭილი მაქვს ყველა სიტყვა,
ისევ შევცურდე...
იქნებ მომინდა, კვლავ შევიტყო რამე ახალი,
რამე ახალი სხვა მდინარის უძირო ფსკერზე...

ზეცის კალთებზე ვერა, მაგრამ
ღვიის ტოტებზე მაინც გავაფენ
საშობაო წვიმებივით
ჯერაც თბილ პნკარებს
და ზანზალაკთა შორეულ ნკარუნს
მივაყურადებ...


უცხო ხარ, უცხო
მომდევს ქალაქი
და გულს გალაქულს
მიჩვენებს ურცხვად;
და მწარე კურცხალს
ვანვეთებ ქალაღდს
და კალამს მასზე
ვლესავ და ვლესავ.

ამ სუსხიან, უხმო სალამოს
რას გაყავხარ, გულო, სახლიდან?
იქნებ გზას ახალს, სურვილს
ვინმე უცნობის ნახვის,
ან იქნებ სახრეს, ფიქრს, რომ
სახლში არ გედგომება.
ამ სუსხიან, დაღლილ სალამოს
რას გაყავხარ, გულო, სახლიდან?
იქნებ დღეს თავხედს,
შორეული გულების ძახილს,
ან იქნებ მახვილს
საორგულოდ სულზე მობჯენილს.
მაგრამ მე ვიცი
ამ სუსხიან, იდუმალ ღამეს
რას გაყავხარ, გულო, სახლიდან:
სიყვარულს უფლის, რომ მორჩილმა
და თავდახრილმა
მოისმინო მისი სიტყვები
და ახლიდან დაიწყო ათვლა.
ამ სუსხიან, საოცარ ღამეს...

დევნისილის ჩანაწერები

მურმან ხურსილავა

აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა მწერალ მურმან ხურცილავას წიგნი „დევნისის ჩანაწერები – ფიქრები, მოგონებები, დაკვირვებანი“ (რედაქტორი ირმა ირემაძე) გამოსცა. მურმან ხურცილავა – გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი და რამდენიმე პოეტური და პროზაული წიგნის ავტორი. ის 20 წლის განმავლობაში სამშობლოსკან შორს ცხოვრობდა და მისი მონატრებითა და ნოსტალგიით იტანჯებოდა. მურმან ხურცილავა „ჩანაწერებში“ იგონებს ამ წლებში, მანამდე და მერეც თავს გადამხდარ ამბებს, მნშვნელოვან მოვლენებს და აფასებს კიდევ მათ. წიგნი დახუნძლულია ცნობილ, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრების შთაბეჭდილებებით. განსაკუთრებით ემოციურია ომამდელი პერიოდის სოხუმის მოგონებები, რომლებიც იმ ბედნიერ წლებსა და იმ დროის ადამიანებს აცოცხლებს. ჩვენც შევცადეთ წიგნიდან სწორედ ის ეპიზოდები ამოგვეკრიფა და ჩვენი მკითხველი დროებით აფხაზეთში დაგვებრუნებინა...



* * *

სოხუმის კომპოზიტორთა სახლში ერთი ჩემი ნაცნობი ქალიშვილი, მარინა, მუშაობდა. ერთხელ დამირეკა და მითხრა, ჩეხი კომპოზიტორია ჩამოსული და „ადგილობრივ ავტორებთან“ შეხვედრა სურსო. გენო კალანდია და მე წავიდეთ. გავიცანით ფრანტიშეკ შაუერი – ხანდაზმული, ტანმოკრები, ჭაბუკივით მარდი და მოძრავი კაცი. საუბარში მეტად განათლებული და ერუდირებული ჩანდა. რუსულს საკმაოდ კარგად ფლობდა. უფრო კლასიკური მუსიკა გახლდათ მისი ე. წ. ამპლუა, თანამედროვე ესტრადული ჟანრითაც იყო დაინტერესებული. მარინა ყავით და ხილით გაგვიმასპინძლა, დიდხანს ვისაუბრეთ. ბოლოს ჩეხმა სტუმარმა მე და გენოს თითო ლექსი გვთხოვა, იქნებ რამე დავწერო.

მეორე დღეს ჩემი მეგობარი რამაზ კუპრავე (გაზეთში მუშაობდა), ფოტოკორესპონდენტი მიმა ტარასოვი და მე მივაღვეით კომპოზიტორთა სახლს. იქ თბილისელი საპატიო სტუმრებიც შემოგვიერთდნენ (კომპოზიტორები შალვა მშველიძე, ალექსანდრე შავერზაშვილი, მუსიკათმცოდნე ნიკოლოზ ჭიაურელი). სურათები გადავიღეთ. შემდგომ რამაზმა გაზეთში სურათი და კარგა მოზრდილი წერილი გამოაქვეყნა.

გამგზავრების წინ კვლავ შევხვდით სტუმარს. ჩემსა და გენოს ლექსებზე მუსიკა დაენერა და იქვე მოგვასმენინა. პარტიტურა საჩუქრად გადმოგვცა. მისი შეფასება არ შემიძლია, რადგან მუსიკისგან ძალიან შორს ვარ, სხვას კი არავის მოუსმენია. ეს პატარა ამბავი მოსაგონრად ჩემთვის მაინც ძვირფასია.

ხუთიოდე წლის შემდეგ შაუერი კვლავ ეწვია აფხაზეთს. ამჟამად უკვე ბიჭვინთაში მქერდა. იქიდან ბარათი მომწერა, გავეზზადე კიდევაც წასასვლელად, მაგრამ რაღაცამ ხელი შემეშალა. სამწუხაროდ, ჩეხი სტუმარი ვერ მოვინახულე.

* * *

ერთხელ გენო კალანდიამ (დამწყებნი ვიყავით) გვაუწყა, სოხუმში ირაკლი აბაშიძეა ჩამოსული და უნდა ვინახულოთო. მე მერიდებოდა და მოვიმიზეზე, აბა, მასთან ვინ მიგვიშვებს-მეთქი. ეს საქმე მე მომანდეთო. გენო შეხვედრების მოწყობის, სტუმრის მიღება-გაცილების ოსტატი იყო მუდამ. მართლაც მოახერხა ჩვენი შეხვედრა. სასტუმრო „აფხაზეთში“ მეორე სართულზე ავედით ოთხნი: გენო კალანდია, ოთარ მიქაძე, დათო გაბუნია და მე (იქნებ, სხვებიც იყვნენ? არ მახსოვს), კარი გაგვიღეს და მიხალებში შევედით. ერთგვარი შიში თუ ზედმეტი მოკრძალება დაგვეუფლა. ვიფიქრე, ახლა გამოვა და აქედან გაგვეფრთხავს-მეთქი(!). ამასობაში ვრცელი ლუქის შუა კართან აისევტა უზადო გარეგნობის ახოვანი კაცი. ღიმილით გამოემართა ჩვენკენ. ყველას ხელი ჩამოგვართვა, დაგვსვა და შინაური საუ-

ბარი გაგვიბა. დაძაბულობამ გაგვიარა. ბევრი რამ გამოგვკითხა, ბევრი რამ გვიჩიოა. ჩვენც საუბრის გუნებაზე მოვედით... კეთილმოზილი, გულთბილი პიროვნება, განათლებული, ჭეშმარიტი მოღვაწე, – ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება.

მერმე ხშირად შევხვედრივარ ბ-ნ ირაკლის (უფრო – ოფიციალურ ბანკეტებზე). მისი შემოქმედებიდან ზოგი რამ მომწონდა, ზოგი – არა, ბევრი არასასიამოვნო ჭორიც ჩამესმა, მაგრამ, საბოლოოდ, იმ პირველი შთაბეჭდილების ტყვეობაში დავრჩი.

* * *

ჩემმა მეგობარმა ანზორ გვარამიამ ძველი ჩინელი პოეტის დუ ფუს წიგნი მაჩუქა (რუსულ ენაზე). ჯერ ყურადღება არ მიმიქცევია, მერე და მერე ისე გამიტაცა, რამდენიმე ლექსი ვთარგმნე კიდევ. ნავაკითხე ოთარ მიქაძეს – ჩემს პირველ მრჩეველ-დამრიგებელს. ოთარმა მომიწონა. ამან წამახალისა და თარგმნა განვაგრძე. რამდენიმე ლექსის დაბეჭდვა ვცადე, მაგრამ ეს ცდა როგორ დამთავრდა, ამაზე უკვე ზემოთ მოგახსენეთ. დიდი ხნის ჯიუტი მუშაობის შემდეგ ხელნაწერი გავამზადე (ორ თაბახამდე) და ქართული სექციის მაშინდელი თავმჯდომარის ხუტა გაგუას სარეკომენდაციო ბარათის თანხლებით თარგმნელობით კოლეგიას ჩავაბარე. წიგნი დავგინებთ, მაგრამ მაინც გამოვიდა. მინდა მაღლიერებით მოვიხსენიო ყველა, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ პატარა კრებულის გამოცემაში. სიკეთისთვის. გულისხმიერებისთვის. ყურადღებისთვის. ესენია: ოთარ ნოდია, ვიქტორ კახიანიშვილი, გივი შაჰნაზარი (რეცენზენტი), ჯემალ აჯიაშვილი (რედაქტორი), ანიკო წვინარია, გოგი ნიშნიანიძე, ლერი ალიმონაკი (განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ლერის დამსახურება), გოგი მაჭუტაძე, ცილა ინწკირველი. საინტერესო იყო ჯემალ აჯიაშვილთან მუშაობა. მისი უებარი გემოვნება, სწორუპოვარი პოეტური მეტყველება მუდამ აღტაცებას მგვრიდა. მან ძველებრად პოეტთა შედეგების თარგმანით გაამდიდრა ქართული პოეზია... ჯემალმა ორიოდ სიტყვა „მაჩუქა“ კიდევ. (ვთქვათ, „მარაქა“).

როცა ვამბობთ, რომ დიდია ჩინეთი, ვგულისხმობთ არა მარტო მის გეოგრაფიულ სივრცეს ან დემოგრაფიულ მდგომარეობას, არამედ მის გამორჩეულობას, აზრის სიბრძნის, ჭეშმარიტების უზენაესობის აღიარებას...

იშვიათია ხალხი, რომელსაც ჰქონდეს საკუთარი მრწამსი ყოფიერებაზე, საკუთარი ფილოსოფია, მედიცინა, კულტურა, დამწერლობა და რელიგიაც კი და რა გასაკვირია, პოეზიაც რომ თავისებურად ჟღერდეს. მომხიბლა დუ ფუს საოცარმა კაცთმოყვარეობამ, ხალხის სატკივრის გულთან მიტანამ, გენიალურმა უბრალოებამ, სამშობლოს მძაფრმა განცდამ (ამ მხრივ ის თავის თანამოკალმეთაგანაც გამორჩევა), თან ისეთი განწყობა გუუფლება,

თითქოს თანამედროვე პოეტს ეცნობოდე და არა ცამეტი საუკუნის წინათ მცხოვრებს.

* * *

ერთხელ რენე კალანდია რიგიდან სოხუმში მოემგზავრებოდა. ხელნაწერები წინასწარ კონდუქტორს გამოატანა, თვითონ კი გადმოფრინდა. რატომ ქენი ასეო, ჰკითხეს მეგობრებმა სოხუმში ჩასულ რენეს. მე რომ დავლუპულიყავი, ხელნაწერი მაინც ხომ გადარჩებოდაო, უპასუხა რენემ.

* * *

გამომცემლობიდან სტამბაში მივიჩქაროდი. რომელიღაც წიგნი იბეჭდებოდა და ხელი უნდა მომწერა. სტამბის წინ ღია კაფეს რომ ჩავუარე, ძახილი მომესმა. გავიხედე, ანზორ გვარამია და უცნობი პიროვნება ისხდნენ და ყავას მიირთმევდნენ. ანზორმა მიმიპატიჟა, ჩემი თავი გააცნო იმ კაცს. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და მე ჩემს საქმეზე წავედი. დღესაც ვნანობ: რატომ არ დავრჩი, რატომ მეტხანს არ გაგრძელდა ეს უცნობი შეხვედრა? სტამბაში მაგვიანდებოდა, რა ქვეყანა დაიქცეოდა? არ დამელოდებოდნენ?... ის უცხო პიროვნება ზვიად გამსახურდია გახლდათ, პატიმრობიდან ახალდაბრუნებული.

* * *

1994 წელს ჩემთან მოვიდნენ სოხუმელი მეგობრები – ანზორ გვარამია და გია ასათიანი. მთხოვეს რუსულად მეთარგმნა ანზორის მცირე ნაშრომი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ცხოვრებას და მოღვაწეობას ეძღვნებოდა. თავიდან უარზე დავდექი, რომელი რუსულად მთარგმნელი მე ვარ-მეთქი. მაგრამ უარმა არ გაჭრა: მეგობრების პატივისცემამ და დაღუპული პრეზიდენტისადმი მონივნებამ თავისი გაიტანეს. ერთ კვირამ თარგმანი მზად იყო. თავს არ ვენდე და ნავაკითხე ვანო გაგუას, ასევე სოხუმელ კაცს (რომელიც რუსულად წერს). ასე გამოიცა პატარა წიგნაკი „Феномен Звиада Гамсахурдиа“.

* * *

სოხუმში, ჭანბას ქუჩაზე, ომარ ციკოლიას დედის პანაშვიდზე ვართ ალექსანდრე ჯიქია, გიორგი სიჭინავა და მე. ღია ჭიშკარში მხარზე ლაბადამოვდებული, ადრე გაჭალარავებული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. მტკიცედ, ამაყად მოაბიჯებდა. ვიცანი, მერაბ კოსტავა იყო. ომარის დედა მერაბის მამიდა გახლდათ. ომარმა ჩვენი თავი წარუდგინა მერაბს. აივანზე გავედით, კარგახანს ვისაუბრეთ, მერე რამდენიმე ნაბეჭდი ქალაღი გადმოგვცა და გავცანიეთ, გვითხრა. თუ არ ვცდები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დებულება იყო... გზაზე ალექსანდრეს მანქანაში ვისხედით და ვკითხულობდით შესანიშნავად დანერილ ტექსტს.

შემდგომ მერაბი მიტინგზე ვნახე, სოხუმშივე, კიროვის ქუჩაზე, ლენინის მოედნის წინ. უამრავი ხალხი ესწრებოდა. ტრიბუნად ვილაკის გარაჟი გამოეყენებინათ. მერაბს მეგაფონი ეკავა და სიტყვას წარმოთქვამდა. იქვე მდგომი ახალგაზრდა საქართველოს ეროვნულ დროშას აფრიალებდა. მიტინგი ლენინის მოედანზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ამასობაში თეთრფარიანი ჯარისკაცები გამოჩნდნენ და სახიფათოდ გამწკრივდნენ.



ხალხი აჩოჩქოლდა. თითქმის პანიკამ მოიცვა. მერაბის სიტყვები ცეცხლზე ნავთის გადასხმას ჰგავდა: „ხალხნო! ამ ტილიანების გემინიათ? ჩვენ გადავაცირავებთ მანქანებს, წრეს გავარღვევთ და მოედანზე გავალთ!“ (სამწუხაროდ, მერაბის ეს არცთუ ხეირიანი ფრაზა აფხაზეთში თავიანთ თავზე მიიღეს. ძალზე ნაწყენი დარჩნენ. ვამტკიცებ, როგორც მოწმე და მონაწილე: ის სიტყვები ჯარისკაცების მისამართით ითქვა).

ხალხი თუ მოედანზე გაიჭრებოდა, შეტაკება მოხდებოდა. მე და კიდევ რამდენიმე მეგობარი ტრიბუნასთან ახლოს ვიდექით. უცებ მოვისაზრეთ: დავწერეთ ბარათი, სადაც ხალხის სახელით – უსიამოვნების ასაცილებლად – ვთხოვდით მერაბს მიტინგი ადგილზე ჩატარებულიყო. ბარათი დიდი გაჭირვებით მივაწოდე ანზორ გვარამიას, წაიკითხა, ცოტა შეყოვნდა და ხალხს მიმართა, მიტინგს აქვე ჩავატარებთო. მართლაც არავითარი შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. ხალხი მშვიდობიანად დაიშალა. მერაბი დიდი პიროვნება იყო. ზოგი დღეს ამაოდ ცდილობს ის ზვიად გამსახურდიას დაუპირისპიროს. ამ ორი ეროვნული გმირის დაპირისპირება ყოვლად დაუშვებელია, ისევე, როგორც აკაკისა და ილიასი.

* * *

გულირიფში აგარაკზე ვენვით კარლო კალაძეს ანზორ გვარამია, ლერი ალიმონაკი, რამაზ კუპრავე და მე. ნარდს ვეთამაშებოდით „ძია კარლოს“ (ასე მიმართავდა მას რამაზ კუპრავე), თან ვსაუბრობდით, ლექსებს ვკითხულობდით. მე წავიკითხე „ძველი პოეტები“, სადაც არის ასეთი სტრიქონი: „ჯერაც ლომივით ბუხუნებს კარლო“. თქვენ გენახათ, როგორ აცუნდრუკდა ამხელა კაცი! ლერის ექსპრომტი გამოუთქვა (აქა-იქ მახსოვს): „... ამ ზღვისპირეთში, ამ მზიანეთში განა ძნელია ქალი მონახო... აბა, შენ იცი, ალიმონაკო!“ და „პოეზიის ალით მონაკიდს, მე ვუთმობ ბინას ალიმონაკის“ და სხვ.

ლერი ალიმონაკი გახლავთ ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ფაქტობრივად, მისი მეორე აღმოჩენი. ძველი ჩინური ფილოსოფიის საუკეთესო მცოდნე, მთარგმნელი, მწერალი.

* * *

რამაზ კუპრავას მეშვეობით გავიცანი სოხუმში იმხანად ჩამოსული შოთა ჩანტლაძე და ოტია პაჭკორია (ოჯახით). ამათ დავუმეგობრდი კიდევ. შოთას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. ქალაქკარეთაც ხშირად გავსულვართ. ეს იყო საინტერესო პოეტი და პიროვნება. ნამდვილი ბოჰემი! ოდნავ გულჩათხრობილი. რაღაცით ნიკალას ჰგავდა. ყველასა და ყველაფერს ცინიკურად უყურებდა. თანამედროვეთაგან ერთადერთს – მუხრანს აფასებდა (მგონი, მეგობრობდნენ). შოთას მე ლექსიც მიუძღვენი. სამწუხაროდ, სიკვდილის შემდეგ...

სულ სხვანაირი იყო ოტია – ცოცხალი, ლალი, მოხიბვითი, მუდამ მოუსვენარი, აფორიაქებული, განათლებული, დიდი გემოვნების კრიტიკოსი. სულ სადღაც მიიჩქაროდა. ეს წუთისოფელიც ადრე დატოვა.

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, აფხაზეთის მხატვართა კავშირის მიერ ორგანიზებული პროექტის „ჩემი სახლისაკენ მიმავალი გზის“ მონაწილეებმა დასკვნითი გამოფენა ენგურის ხიდზე გამართეს. სახლისაკენ მიმავალ გზას სწორედ აქ გადაეღობა ბარბერის. პროექტის მონაწილე მხატვრებმა თბილისსა და მის შემოგარენში, შემდეგ ბათუმში გზის თემაზე შექმნილი ნახატები სიმბოლურად ენგურის ხიდზე, ეგრეთ წოდებულ საზღვრის გამყოფ ლოდებზე მოლბერტების გარეშე გამოფინეს და მათი დათვალიერება მშობლიურ სახლში მიმავალ ყველა გამგელს შეეძლო. პროექტი „ჩვენი სახლისაკენ მიმავალი გზა“ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის, აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მხარდაჭერით და საქართველოს მხატვართა კავშირის თანადგომით განხორციელდა. ყოველივე ამაზე გვესაუბრება პროექტის ხელმძღვანელი, აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე დავით ზაძალა:

საღებავები და მუყაოები შეიძინა. აფხაზეთის სკოლის 40-მდე მოსწავლეს, რომელიც ენგურზე დაგვხვდა, ჩვენმა მხატვრებმა (ამირან კუპრაშვილი, მერაბ ფიფია, ხუტა კვარაცხელია და სხვებმა) მასტერკლასი ჩაუტარეს. ბავშვებმა გზის თემაზე დახატეს. ეს ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ სხვა აქციების მონაწილეებიც (27 სექტემბერი იყო და ენგურზე ბევრი ღონისძიება ტარდებოდა) ჩვენ შემოგვიერთდნენ. აღფრთოვანებული დავრჩით მოსწავლეების ნამუშევრებით. 8-13 წლის მოზარდები, ფიქრობენ, რომ ჩვენ აფხაზეთთან ერთად მშვიდობიანად უნდა ვიცხოვროთ.

გამოფენას ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის წარმომადგენლებიც ესტუმრნენ და დაგვლოცეს. გამოფენა ერთდღიანი იყო. სამწუხაროა, რომ ზუგდიდში ნახატები ვერ დავტოვეთ, მაგრამ იმედია მომავალში მოვახერხებთ ამას.

– როგორც ვიცით, აფხაზეთის მხატვრები ამ დღეებში კიდევ ერთ წარმატებულ პროექტში მონაწილეობდნენ.

– არტ-სტუდია „დავით გუამი“ საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად უმასპინძლა საერთაშორისო არტ-პლენერს „ვაზის სე-



– ენგურის ხიდთან გამართული პლენერი გამორჩეული იყო იმით, რომ მასში აფხაზეთის სკოლის მოსწავლეებაც ჩაერთვნენ. გამოფენაში 20-მდე მხატვარი მონაწილეობდა, აქ მათ წინა პლენერებზე შესრულებული ნახატები წარმოადგინეს. იყო შემთავაზება, რომ ნახატები ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში გამოგვეფინა, მაგრამ ჩვენ პროექტის ჩანაფიქრს არ გადავუხვიეთ და ენგურის ხიდზე გამოვვენთ ისინი. აქ ბევრი დამთვალიერებელი გვყავდა გამველ-გამომველის სახით. ბევრი მათგანი გაკვირვებული უყურებდა გამოფენას, ზოგი დაბნეულიც კი იყო. ნახატები მოლბერტებზე კი არა, სადაც საშუალება იყო, იქ მივაყუდეთ, განსაკუთრებით ქვის ლოდებზე, რომელიც გზის ერთგვარი გამყოფია ხიდზე და საშინელ უკუჩქვანს იწვევს ყველა ჩვენგანში. აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა გადაიღო ბოლო პლენერიც. გამოფენას ყველგან თან დაყვებოდა ამ ცენტრის მიერ გაკეთებული ფილმი. აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა, რომელიც პროექტის ერთ-ერთი მხარდამჭერია, სკოლის მოსწავლეებისთვის

ზონი“. პლენერში მონაწილეობდნენ პროფესიონალი მხატვრები და ხელოვნების მოყვარულები იტალიიდან, უკრაინიდან, ლიტივიდან და სხვა ქვეყნებიდან – სულ 13 უცხოელი და 12 ქართველი მხატვარი (მათ შორის 5 აფხაზეთიდან იყო). პროექტის ფარგლებში რვა დღის განმავლობაში საქართველოს რეგიონები (კახეთი, მცხეთა, შიო მღვიმე, სიღნაღი, ბოლნისი, წინანდალი, ძეგლი თბილისი, ზედაზენი, საგურამო) მოვიარეთ. ძირითადად პეიზაჟებს ვხატავდით. ამ დღეებში სულ ასამდე ნამუშევარი შეიქმნა. ნახატები საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გამოიფინა.

ამგვარი პროექტები ანვითარებს მხატვრებს, გამოცდილებას სძენს მათ, ქვეყნებსა და ხელოვნებს შორის უფრო მჭიდრო კულტურულ ურთიერთობებს ამყარებს. პროექტს მხარს უჭერდა კომპანია „მინიატიურა“ (ხელმძღვანელი ქეთი ლაზარაშვილი), ფილმი გადაიღო აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა, გამოფენა მუსიკალურად გააფორმა მუსიკოსმა დავით ჩაკაბერიამ.



ნოდარ ღარსაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ბარბერის გამარჯვებული ალათურთში სოხუმის „სოხუმი“ გახდა

2018 წლის 25-26 ოქტომბერს ქ. თბილისში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით და აფხაზეთის კალათბურთის ფედერაციის მხარდაჭერით, ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის დარბაზში ჩატარა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ნოდარ ღარსაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში ახალგაზრდებს შორის.

ტურნირი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, გუნდები თავდადებით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის, რის შედეგადაც ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

სოხუმის „სოხუმი“ – პირველი ადგილი; თბილისის „ვიტისი“ – მეორე ადგილი; თბილისის „მართვი“ – მესამე ადგილი.

გამარჯვებული გუნდები თასებით, მედლებით, დიპლომებით და ბურთებით დაჯილდოვდნენ.



აფხაზეთის ღია პირველობა ჯადრაში მოსწავლეთა შორის დასრულდა

2018 წლის 30 ოქტომბერს ქ. თბილისში, ჭადრაკის სასახლეში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივითა და აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერით, ჩატარა აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის. მთავარი მსაჯი იყო ლელა თანდაშვილი.

დაძაბული პაექრობის შემდეგ ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გოგონებს შორის: ელენე შელია – პირველი ადგილი; ბელა ნაჭყებია – მეორე ადგილი; ელენე თოლორაია – მესამე ადგილი.

ვაჟებს შორის: ილია კავკასიძე – პირველი ადგილი; გაბრიელ პირველი – მეორე ადგილი; ვახტანგ ფერაძე – მესამე ადგილი.

ტურნირის ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე როლანდ ნიჟარაძე, საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ მიქაძე, სამინისტროს თანამშრომლები და სხვ.

აფხაზეთის ღია პირველობაზე ჭადრაკში საპრიზო ადგილზე გასული მოსწავლეები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, თასებით, მედლებით, ფასიანი პრიზებით დაჯილდოვდნენ.



ბარძნულ-რომაულ ჯიდაოვაში გაიმართა აფხაზეთის ღია პირველობა ახალგაზრდებს შორის

ქ. თბილისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული და აფხაზეთის ჭიდაობის ფედერაციების მხარდაჭერით, ევროპული კვირეულის ფარგლებში ჩატარა აფხაზეთის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ტურნირი მიქმდნენ აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების ხსოვნას. მისი ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ტურნირში ასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. აფხაზეთის სახელით ტურნირში იასპარეზა 10 სპორტსმენმა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გია ესებუასა და ზურაბ ლომიას ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან წარმოდგენილ ნაკრებ გუნდებში ირიცხებოდნენ.

ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ აფხაზეთის სპორტსმენებმა სხვადასხვა წონით კატეგორიასა და ასაკობრივ ჯგუფებში შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს:

1. ბართლომა ბიჭაშვილი – პირველი ადგილი, 32 კგ. წ. კ. 2009-2010 წ. წ.
2. გიორგი შუბითიძე – მე-3 ადგილი, 92 კგ. წ. კ. 2001-2002 წ. წ.
3. მიხეილ მეზონია – მე-3 ადგილი, 80 კგ. წ. კ. 2001-2002 წ. წ.
4. ნიკოლოზ გოგებაშვილი – მე-3 ადგი-

- ლი, 55 კგ. წ. კ. 2009-2010 წ. წ.
5. ლუკა გეჯაძე – მე-2 ადგილი, 71 კგ. წ. კ. 2001-2002 წ. წ.
6. საბა სეფერთელაძე – მე-3 ადგილი, 42 კგ. წ. კ. 2007-2008 წ. წ.
7. ანდრო გულორდავა – მე-3 ადგილი, 42 კგ. წ. კ. 2007-2008 წ. წ.
8. ოთარ სამუშია – მე-3 ადგილი, 42 კგ. წ. კ. 2007-2008 წ. წ.

შეჯიბრებაში გამარჯვებული და პრიზორი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით და დიპლომებით.

ტურნირზე დაწესებული სპეციალური პრიზები: აფხაზეთის ომში დაღუპული, სპორტის ოსტატის მურთაზ გაბიძაშვილის სახელობის თასი, ლეგენდარული ფალავნის ნესტორ ესებუას სახელობის თასი გადაეცა ტურნირის საუკეთესო სპორტსმენებს.



WE REMEMBER (გვახსოვს!) გამოფენამ აფხაზეთის ომის კადრები შეგვახსენა

მაია შონია

27 სექტემბერს, ეროვნული ბიბლიოთეკის სა-გამოფენო დარბაზში აფხაზეთის ტრაგედიის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საინფორმაციო გამოფენა-აქცია WE REMEMBER (გვახსოვს!) გაიმართა. გამოფენის მონაწილის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი „ABKHAZETI“ და ლატვიის ქართველთა საზოგადოება „GEORGIKA“. მეორე დღეს გამოფენამ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ ვალერი არქანას სახელობის არტ-გალერეაში გადაინაცვლა.




ექსპოზიციამ, რომელიც ასზე მეტი ფოტოსგან შედგებოდა, აფხაზეთის ომის უმძიმესი კადრები კიდევ ერთხელ შეაჩვენა დამთვალიერებელს, კადრები, რომლებიც ომის დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფმა ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა და ფოტოკორესპონდენტმა მალკოლმ ლინტონმა (Malcolm Linton) და ჯონ ჯონსმა (Jon-Johnes) გადაიღეს ფრონტის როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარეს. მალკოლმ ლინტონი სოხუმის დაცემის ცოცხალი მონღეა და თავის ფოტო-კოლექციაში ასახული აქვს სოხუმის დაცემისა და ომის უმძიმესი სურათები.

მალკოლმის ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილია ის ვერტმფრენი, რომელიც ჩამოვარდა და, სავარაუდოდ, ის ადამიანებიც, რომლებიც იქ ისხდნენ და დაიღუპნენ. ჯონ ჯონსი კი ქართველ დევნილებს სვანეთის მთებში გაჰყვა და მისმა კამერამ ჭუბერზე გადასვლის ტრაგიკული რეალობა ასახა. WE REMEMBER ექსპონატების გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოხერხდა. ჯონ ჯონსის ფოტოების ამ არაჩვეულებრივმა კოლექციამ 1993 წელს World Press Prize-ის ჯილდო მიიღო. გამოფენა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეაჩვენებს მომხდარის შესახებ და ამ უტყვევი აქციით პატივს მიაგებს უდანაშაულოდ დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნას.

ფოტოები თავის დროზე საინიციატივო ჯგუფ „აფხაზეთის“ წევრებმა თავად ამერიკელი ფოტოგრაფებისგან მოიპოვეს და ომის ამსახველი უმძიმესი კადრები თითქმის მთელ მსოფლიოს გააცნეს მაშინ, როცა ამ თემაზე საუბარი არც ისე ადვილი იყო. საინიციატივო ჯგუფი „აფხაზეთი“ წლების წინ შეიქმნა და მასში განეწიანებული არიან სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები დევნილები და არა მხოლოდ დევნილები, რომლებიც აფხაზეთის საკითხს თანაუგრძნობენ.

ერიკ გრიგოლია, საინიციატივო ჯგუფ „აფხაზეთის“ წევრი, აფხაზეთიდან დევნილი: – ეს ფოტოები წლების წინ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენს ხელში. დევნილებმა გააკეთეს პირველი ინტერნეტპორტალი, რომელზეც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოდიოდნენ ადამიანები. ამ პორტალზე შემოვიდა ამ ფოტოების ავტორი ამერიკელი ფოტოკორესპონდენტი მალკოლმ ლინტონი. ფოტოები ორი ფოტოგრაფის, მალკოლმ ლინტონისა და ჯონ ჯონსის მიერაა გადაღებული აფხაზეთის ომის პერიოდში. ჩვენი საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი დაუკავშირდა მათ და ფოტოები თითქმის უფასოდ გადმოგვცეს. ამერიკელი ფოტოკორესპონდენტები ფრონტის ორივე მხარეს იღებდნენ. მათ თქვეს, რომ შეეძლოთ უფრო მეტის გადაღებაც, მაგრამ სამიში იყო ფოტოაპარატის ამოღებაც კი. გამოფენაზე 112 ფოტო გამოვიტანეთ, არქივში კი 160-მდე ფოტო გვაქვს. ჩვენი მთავარი მიზანია, ფოტოები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავავრცელოთ.



გამოფენა პირველად თბილისში 2005 წელს გამოიფინა. არათუ უცხოეთში, საქართველოშიც ხალხმა ძალიან ცუდად იცის, რა მოხდა სინამდვილეში აფხაზეთში. 2006 წელს, როდესაც აფხაზეთის საკითხი იხილებოდა გაეროში, გაეროს შენობის ფოიეში გამოვფინეთ ეს ფოტოები. იმავე წელს გავზედეთ და მათი გამოფენა მოსკოვშიც მოვახერხეთ. ბალტიისპირეთის ქალაქებში, ტალინში და რიგაშიც იყო გამოფენა. მაშინ რუსეთი ყველანაირად ცდილობდა კონფლიქტის შედეგების და-მალვას და ამ გამოფენის მონაწილე არც ისე ადვილი იყო. დღეს კი მთელი მსოფლიო აღიარებს რუსეთს, როგორც ჰიბრიდული ომის მწარმოებელს, სეპარატისტების ხელის შემწყობს, ტერიტორიების მიმტაცებელს და ეს გამოფენა უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ ის მაინც უნდა მოეწყოს თუნდაც იმის სათქმელად, რომ ჩვენ გვახსოვს ჩვენი აფხაზეთი, ჩვენი დაღუპულები, გვახსოვს, ვინ რა ჩაიდინა და არაფერი დაგვავიწყდება.

ანატოლი ბერგეტი, საინიციატივო ჯგუფ „აფხაზეთის“ წევრი, აფხაზეთიდან დევნილი: – აფხაზეთი ჩემი და ჩემი წინაპრების სამშობ-

ლო იყო. ჩემი წინაპრები იყვნენ ესტონელები, რომლებიც გულრიფშის რაიონის სოფელ ესტონკაში ცხოვრობდნენ. კონფლიქტამდე ჩვენც იქ ვცხოვრობდით. ომის დაწყებისთანავე, 1992 წელს, როცა აფხაზეთში ჯერ კიდევ ომი მიმდინარეობდა ესტონელებმა სამი თვითმფრინავი გამოგზავნეს და ესტონეთში გადაგვიყვანეს. მას შემდეგ ესტონეთში ვცხოვრობთ, მაგრამ აფხაზეთს ვერაფრით ვივინყებთ. მე ჩამოვედი საქართველოში და ქართველზე ვიქორწინე. მამაჩემიც და ბაბუაჩემიც ქართველებზე იყვნენ დაქორწინებული. ამ ტრადიციას ვაგრძელებთ. 25 წელია ესტონეთში ვცხოვრობთ, მაგრამ საქართველო ჩვენი ისტორიული სამშობლოა. ქართული და მეგრული მესმის, რადგან დედაჩემი მეგრელია. ამ გამოფენით გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენ არაფერი გვაგვიწყდება. 25 წელი ისტორიისთვის დიდი დრო არ არის. ესტონეთშიც იგივე პრობლემებია. რუსეთი იქაც ჩვენი მეზობელია და ამას ვერაფერი შეცვლის, მაგრამ ჩვენ ნატოს წევრი ვართ და ეს სისტემა მუშაობს. იქ ეს ფაქტორი ყველაფერს ცვლის. პატარა ერებს ეს ფაქტორი იცავს.

თბილისში მშენებარე ილორის წმიდა გიორგის ეკლესიის გუმბათზე ჭვარი აღიმართა

იკატერინე გადილია



27 სექტემბერი – ჯვართამაღლების – პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღეა. სოხუმის დაცემა სწორედ ამ დღეს დაემთხვა. გოლგოთის გზაზე შემდგარ აფხაზეთის მოსახლეობას დღემდე არ ტოვებს იმედი, რომ გოლგოთასა და ჯვარცმას... აღდგომა და ამაღლება მოჰყვება. ამგვარი იმედითა და რწმენით გასრულდა აფხაზეთის წართმევის 25 წელიც.

ქართველი ერისთვის ამ ტრაგიკულ დღეს გმირთა მოედანზე აფხაზეთში და-

ღუპულ გმირებს პატივი მიაგეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა გვაზავამ, აფხაზეთის მთავრობის წევრებმა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, აფხაზეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ გვირგვინებით შეამკო საქართველოს ეროვნული გმირის, ყოფილ შარტავას, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილისა და გენერალ-მაიორ გენო ადამიას საფლავები.

ამავე დღეს, როგორც ჯვართამაღლების დღეს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, ქალაქ თბილისში მშენებარე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის თბილისის მეტოქიონის

გუმბათზე ჯვარი აღიმართა.

ჯვრის კურთხევისა და აღმართვის ლოცვა აღავლინა და ტაძრის ეზოში შეკრებილი მრევლი დალოცა პატრიარქის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხორონწყუს მიტროპოლიტმა შიომ.

ჯვრის აღმართვის ცერემონიას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში სოზარ სუბარი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სასულიერო პირები და დევნილი საზოგადოება ესწრებოდნენ.

ჯვართამაღლების დღესთან დაკავშირებით 12 საათზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში ერთდროულად დაირეკა ზარი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სულთა საოხად პანაშვიდი გადაიხადეს.



რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, იკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის 68. ტ. 577 09 22 42